ედუარდ შევარდნაძე: ცხრა აპრილს ქართველმა ერმა ერთხმად და თამამად გამოხატა თავისი ნება-ნება თავისუფლებისა, ნება დამოუკიდებლობისა, ნება თავისთავადი განვითარებისა, რაც მთავარია, საქართველომ უმანკო, უდანაშაულო სისხლის ფასად სწორედ იმ ტრაგიკულ ღამეს ახალი ძალით შეიგრძნო ერთიანობისა და ერთსულოვნების ფასი და მნიშვნელობა. დიდება მათ ხსოვნას!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 74 (618) პარასკევი, 9 აპრილი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

ოჩამჩირის გამგებლმა ხუტა გუგუნიამ „იბერიის" კორესპონდენტს აცნობა, რომ გუშინ ოჩამჩირის რაიონში ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. ადგილი ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო სროლებს სოფ. ჩხორთოლთან. მიმდინარეობს ელ. გადამცემი ხაზების აღდგენითი სამუშაოები და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ შეუშლის ხელს, 5 დღეში სოხუმს მიეწოდება ელ. ენერგია. ოჩამჩირეში იმყოფებოდა ვახტანგ (ლოთი) ქობალია, რომელმაც განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ჩავა ოჩამჩირეში თავისი რაზმით.

• • •

აფხაზეთის ე. წ. თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით, ახალციხის ბატალიონ „ავაზას" მეთაურის ამირან დეზზენიძის მიერ მოკლულ იქნა რუსეთის არმიის მაიორი იური ვობლიკოვი, ცნობის თანახმად, მაიორი დახვრიტეს გულრიფშის რაიონის სოფ. ვარჩაში საკუთარი ავტომობილის სალონში. დანაშაულის დასაფარავად ქართულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ თითქოსდა ძველი თარიღით გაათავისუფლა ა. დეზზენიძე ბატალიონის მეთაურის თანამდებობიდან — იუწყება აფხაზეთის ე. წ. თავდაცვის სამინისტრო.

• • •

აფხაზეთის ე. წ. თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებს თითქოსდა საქართველოს შეიარაღებული ძალები იბრძვიან ისრაელში წარმოებული იარაღით. „სოხუმში დაცემულია ისრაელის წარმოების მოდერნიზებული სამხედრო დანადგარები, ხოლო გასულ კვირას თბილისში თვითმფრინავებით ჩამოიტანეს სხვადასხვა ტიპის იარაღი ისრაელიდან" — იუწყება აფხაზეთის ე. წ. თავდაცვის სამინისტრო. აფხაზური მხარე ამტკიცებს, რომ ამის თაობაზე გარიგება მოხდა ისრაელ კომერსანტ იაკობ ნიშრიდისთან. საქართველოს პარლამენტის პრესმდივანმა აღნიშნული ფაქტი უარყო.

◉

უკანასკნელ საათს

ანკარა, 8 აპრილი. (იტარ-ტასის კორ. სერგი ფეოქტისტოვი). თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფერხათ ატამანმა აქ ოთხშაბათს განაცხადა, რომ ანკარა გულმოდგინედ ადევნებს თვალს მოვლენათა განვითარებას რეგიონში. „არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი, რომ თურქეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა", — ხაზგასმით აღნიშნა მან.

თურქეთის პარლამენტის 20 დეპუტატმა, რომლებსაც მეთაურობს მემარჯვენე ნაციონალისტური შრომის პარტიის ლიდერი ალფარსლან თიურქეში, შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ მთავრობას ნება დაერთოს გამოიყენოს ჯარები სომხეთის წინააღმდეგ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

1989 წლის 9 აპრილი. სიმონ კილაძის ფოტო.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ

საქართველოს უახლეს ისტორიაში დიდია ცხრა აპრილის მნიშვნელობა. ამ დღეს ქართველმა ერმა ერთხმად და თამამად გამოხატა თავისი სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, ამ დღეს დაიღვარა სამშობლოსათვის თავგანწირულ მამულიშვილთა უმანკო სისხლი და ამ დღესვე აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამდენად ეს დღე არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოა, არამედ საქართველოს ერთიანობისა და წინსვლის დღეც არის. ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. 9 აპრილი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ.

2. 9 აპრილი აღინიშნოს ყოველწლიურად და გამოცხადდეს უქმე დღედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი. 1993 წლის 8 აპრილი.

ეროვნული ერთიანობა უმთავრესი პირობაა დემოკრატიული და ბედნიერი ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე

საქართველოს პარლამენტის სხდომის დღიური

8 აპრილს სხდომაზე პარლამენტარებმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იმთავითვე დაამტკიცეს დღის წესრიგი მცირეოდენი ცვლილებებით.

ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი შენგელაიამ სხდომაზე განსახილველად გამოიტანა კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლების შესახებ, რომლის სამუშაო განხილვა უკვე მოეწყო და ახლა პარლამენტარებს შესთავაზეს ამ კანონპროექტის თაობაზე მსჯელობა. ბატონმა ირაკლი შენგელაიამ ისაუბრა ძირითად საპრობლემო საკითხებზე. კანონპროექტის ტექსტუალური დამუშავება მოხდება ყველა გამოთქმული მოსაზრების გათვალისწინებით, ამჯერად კი იგი პირველი წაკითხვით მიღებისათვის იყო წარმოდგენილი. კანონპროექტის განხილვა მეტად აქტიურად წარიმართა. შესვენების შემდეგ სხდომაზე გამოვიდა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

— რჩევა მინდა გკითხოთ და მხარდაჭერაც გთხოვოთ, — მიმართა მან პარლამენტარებს. — მე მგონი განმარტება იმისა, თუ რა ადგილი დაიკავა 9 აპრილმა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, საჭირო არ არის. პირველ რიგში, ეს იყო უმძიმესი დღე, დაიღუპა ხალხი, მაგრამ ასეთი დღე საქართველოს ისტორიაში მარტო 9 აპრილი არ არის. უფრო დიდი მსხვერპლი და უფრო დიდი მოვლენებიც მომხდარა, მაგრამ 9 აპრილმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. გარდა იმ ერთიანობისა, რომლისკენაც ბიძგი მისცა ამ მოვლენამ ჩვენს ხალხს, ამ დღემ მიიღო ძალიან დიდი რეზონანსი მაშინდელ საბჭოთა კავშირში და მთელს მსოფლიოში. ბევრ ქვეყანაში პირველად მაშინ გაიგეს საქართველოს შესახებ. პირველად გაიგეს, იმდენად დიდი იყო ეს, თუნდაც იმის გამო, რომ მაშინ ისეთი კომისია შეიქმნა. არაერთი დასკვნა იქნა წარმოდგენილი და მისი განხილვა საკმაოდ დრამატულ და წინააღმდეგობრივ პირობებში მიმდინარეობდა. თითქმის არ დარჩენილა არცერთი ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელიც არ გამოეხმაურა ამ მოვლენას. ამიტომ, დღეს ასე მინდოდა დამესვა ეს საკითხი: ხომ არ შეიძლებოდა ეს დღე 9 აპრილი გამოგვეცხადებინა ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობის და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ. რატომ ასე? პირველი, ეროვნული ერთიანობა საქართველოს ისტორიის, ჩვენი ცხოვრების ყველა ეტაპზე, ჭირშიც და ლხინშიც, ყველაზე უმთავრესი საზრუნავი იყო ყველა დროის ხელისუფლებისა და ყველა ეპოქის მოქალაქეთათვის. ასეა დღესაც და დარწმუნებული ვარ ასე იქნება მომავალშიც. ეროვნული ერთიანობა უმთავრესი პირობაა დამოუკიდებელი, დემოკრატიული და საბოლოო ჯამში ბედნიერი ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე. ეროვნული ერთიანობა უმთავრესი ფაქტორია, თუ დღევანდელობის თვალსაზრისით ვილაპარაკებთ, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისა, საბოლოო ჯამში — ერის ხსნისა და გადარჩენისა.

მეორე, სამოქალაქო თანხმობა, რომლის ხაზგასმა დღევანდელ ეტაპზეც და მომავალშიც უმნიშვნელოვანესი მომენტი იქნება ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. პოლიტიკური პლურალიზმის, მრავალპარტიულობის, მრავალეროვნულობის, რელიგიათა მრავალფეროვნების პირობებში ყველა მოქალაქის უპირველესი ამოცანა, მიუხედავად პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობრივი სხვაობისა, ეროვნული კუთვნილებისა ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნა უნდა იყოს. ამ მიზანმა უნდა შეკრას, როგორც იტყვიან, ერთ მუშტად, საქართველოს ყველა მოქალაქე.

და მესამე, სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნა, ამ ადამიანთა მოგონება, დღევანდელ და მომავალ თაობათა უწმიდესი ვალია. სწორედ დაღუპულთა, სამშობლოსათვის შეწირულთა სახელები და საქმენი მათი გახდება ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ქვეყნისა და ხალხის გაერთიანებისა. 9 აპრილის აღნიშვნა არ იქნება, მე ასე წარმომიდგენია, ზარ-ზეიმის დღე, ეს იქნება სევდანარევი დღე, როცა ხალხი იფიქრებს წარსულზეც, მომავალზეც, იფიქრებს მათზე, ვინც სამშობლოს შესწირა თავი და იფიქრებს მომავალ თაობებზე, ჩვენი შვილების, შვილიშვილების ბედნიერებაზე და მომავალზე. თუ ეს არგუმენტები, რომლებიც მოგახსენეთ, მისაღებია, მაშინ, მინდოდა მეთხოვა პარლამენტისათვის, განეხილა და თუ თქვენ ჩათვლით შესაძლებლად, მხარი დაეჭიროთ დადგენილების პროექტს.

(ბატონმა შევარდნაძემ პარლამენტს გააცნო დადგენილების ეს პროექტი).

პარლამენტმა მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მეთაურის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მცირეოდენი ცვლილებით კენჭისყრით მიიღო იგი (დადგენილება ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

ქალაქის მერმა კოტე გაბაშვილმა პარლამენტარებს შესთავაზა წინადადებანი, თუ როგორ აღნიშნონ თბილისელებმა და დედაქალაქის სტუმრებმა ეს დღე, რომელსაც ეგების შესაფერი, ღირსეული აღნიშვნა.

სხდომაზე გააგრძელეს ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლების შესახებ კანონპროექტის განხილვა. საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ პარლამენტარებმა კენჭი უყარეს წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი წაკითხვით მიღებას. კენჭისყრის შედეგად კანონპროექტი არ მიიღეს.

სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები

აღვნიშნოთ გამორჩეული სულიერებით

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართვა ქართველი ერისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

ახლოვდება ჩვენი ტკივილის, დიდი ეროვნული ტრაგედიისა და იმავდროულად დიდი ეროვნული გამარჯვების დღე — 9 აპრილი, რომელმაც უკვე დაიკავა ღირსეული ადგილი საქართველოს ისტორიაში.

დღეს ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაცია თუ პოლიტიკური მოღვაწე აპირებს ამ თარიღის მიტინგითა თუ მანიფესტაციით აღნიშვნას და გულწრფელად სწამს, რომ ამ აქციებს არანაირი დესტაბილიზაცია არ მოჰყვება.

მეორე ნაწილი პოლიტიკანთა, რომელიც მოსკოვისა და გროზნოს მიერ იმართება, ასევე აპირებს აქციების მოწყობას და 9 აპრილის ტრაგედიის აღნიშვნის საბაბით დესტაბილიზაციის გამოწვევას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც ყველაფერთან ერთად მიტინგებისა და დემონსტრაციების გარკვეული გამოცდილებაც გააჩნია, თვლის, რომ დღევანდელ პირობებში დაუშვებელია ქუჩის აქციების გამართვა და უკეთეს შემთხვევაში მსგავს მცდელობებს პოლიტიკური სიბეცისა თუ გულუბრყვილობის, უარეს შემთხვევაში კი პროვოკაციის სუნი ასდის.

ჩვენთვის დღეს მიუღებელია ქუჩის აქციები შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. აფხაზეთში ომია და ეს ომი, უპირველეს ყოვლისა, იმპერიალისტური რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს. ქვეყანა, რომელიც საომარ მდგომარეობაში იმყოფება, ქუჩის აქციებით ფუფუნების უფლებას არ უნდა აძლევდეს საკუთარ თავს;

2. ეკონომიკური გაჭირვება და კუპონიზაცია, რაც ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული, მშვენიერ სოციალურ ნიადაგს უქმნის ყველა ჯურის ავანტიურისტს სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებებისათვის;

3. ნათელია, რომ პოლიტიკურად გაკოტრებული ე. წ. ზვიადისტები ნებისმიერ პროვოკაციაზე წავლენ, რათა შეძლონ დესტაბილიზაციის გამოწვევა...

ჩვენთვის გასაოცარი და მიუღებელია რესპუბლიკის პარლამენტის ერთი ნაწილის არასახელმწიფოებრივი, ქარაფშუტული (ალბათ, არა მოღალატური, გვსურს, ვიწამოთ) და ანტიქართული მიდგომა მთელი რიგი საკითხებისადმი. დღეს ხალხი ითხოვს წესრიგს, დისციპლინას, დამნაშავე თუ დესტრუქციული ელემენტების (რომ აღარაფერი ვთქვათ ტერორისტებსა და დივერსანტებზე!) თარეშის აღკვეთას. ხელისუფლების ყოველი წარმომადგენელი ვალდებულია ხელი შეუწყოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და სამართალდამცავ ორგანოებს, და არა ხელი შეუშალოს მას ტელეეკრანიდან კოპწიაობითა და ფსევდოდემოკრატიული სენტენციების ამოძღვრით.

ჩვენთვის, აგრეთვე, გაუგებარია რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და პირადად ბატონ ედუარდ შევარდნაძის რბილი, ლოიალური და დამთმობი პოლიტიკა მსგავსი დესტრუქციული ელემენტების მიმართ. მსგავსმა დათმობებმა ჩვენ, შესაძლოა, საქართველოც დაგვათმობინოს.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ გააქტიურდა რუსეთის სამხედრო დაზვერვა და ყოფილი „კა-გე-ბეს" ადგილობრივი აგენტურა, რაც ამ დესტრუქციული ძალების საქმიანობას მიმართულ და გეგმიურ ხასიათს აძლევს.

მიტინგისა თუ დემონსტრაციის არავის ეშინია, საშიშია მხოლოდ ის პროვოკაცია, რაც უდროო მიტინგებსა და ქუჩის სხვა აქციებს შეიძლება მოჰყვეს.

ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ხალხს, რომ არ აჰყვეს პროვოკატორთა თუ დაბნეულთა მოწოდებებს და 9 აპრილის დღე აღნიშნოს გამორჩეული სულიერებით, ეკლესიურობით, უმოწყალოდ დახოცილთა სულების მოხსენიებით და არა მანიფესტაციებითა და მიტინგებით.

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს, რომ მაქსიმუმი გააკეთონ დედაქალაქში და რაიონებში წესრიგისა და სიმშვიდის, აგრეთვე, მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვისათვის.

მოვუწოდებთ „საპროტესტო აქციების" საყმაწვილო სენით დაავადებულ ზოგიერთ პარლამენტარს, რომ დაფიქრდნენ, თუ ვის საქმეს ემსახურებიან დღეს ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ. ვის უწყობენ ისინი საპროტესტო აქციას, საკუთარ თავს (როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები), თუ საკუთარ ხალხს, საკუთარ სახელმწიფოს?

მოვუწოდებთ „ზვიადისტთა" არააგენტურულ ნაწილს, რომ მოეგონ გონს: ისტორიაში ერთი და იმავე სქემით არაფერი არ მეორდება და არც 2 სექტემბრის გამეორებაა შესაძლებელი. თვითმარქვია პრეზიდენტი ვერანაირ შემთხვევაში ვერ დაბრუნდება საქართველოში, თქვენი დესტრუქციული ქმედებით კი შეიძლება საქართველოსა და ქართველი ხალხის არსებობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოთ.

დღეს საქართველოში ომია მოსაგები, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზებია დასასახი, სახელმწიფოს სტრუქტურებია ჩამოსაყალიბებელი, ადგილობრივი არჩევნებია ჩასატარებელი, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებია დასარეგულირებელი, რუსეთთან ურთიერთობებია გასარკვევი ჯარების გაყვანის ჩათვლით (ოღონდ არა ყვირილითა და მიტინგით!)... საქართველოს სახელმწიფოა შესაქმნელი და ამ დროს არავის არ ეპატიება ზურგში მახვილის ჩაცემა.

მრავლის მომთმენო, კეთილო და გონიერო ქართველობავ, დავდგეთ პიროვნულ თუ კლანურ ინტერესებზე მაღლა, ვძლიოთ საკუთარ თავს და ვძლევთ მტერსაც, ხელიდან ნუღარ გავუშვებთ ალბათ უკანასკნელ შანსს ჩვენი დამოუკიდებლობისა და სიძლიერის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

7 აპრილი, 1993 წ.

ნომერში

◉ 9 აპრილი: ოთხი წლის გადასახედიდან. 2

◉ ბედი ქართული წიგნისა. 3

სოჭიდან გვატყობინებენ

რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება

სოჭში მიმდინარე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე 8 აპრილს, შუადღისას სამთავრობო დელეგაციათა მეთაურებმა გააკეთეს შემდეგი განცხადება.

პაველ გრაჩოვი, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი:

— შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ გადაიჭრა პრობლემათა წრე, რომელიც ეკონომიკასა და ფინანსებს ეხება. დასმულია 13 საკითხი, ყველა ისინი გადაჭრილია და მზად არის პარაფირებისათვის. მაგრამ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს გასული წლის 25 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, რომელიც გამორიცხავს ჩვენთვის ახლა რაიმე ხელშეკრულებების ხელმოწერას, ამ შეხვედრის დამთავრებისთანავე გავუგზავნით ჩვენი მუშაობის მასალებს რუსეთის უზენაეს საბჭოს, პრეზიდენტსა და მთავრობას, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილებანი და ხელი მოაწერონ შესაბამის შეთანხმებებს.

13 საკითხიდან სამი ძირითადია. ეს არის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, ფინანსური კრედიტის გაცემა და შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. მაგრამ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერილი იქნება ძირითადი — პოლიტიკური დოკუმენტი.

საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის ხაზით პირველი საკითხია რუსეთის მხრივ ჰუმანიტარული დახმარების გაწევა რაიონებისათვის, რომლებიც დაზარალდნენ დაბომბვისაგან, მათ შორის ტყვარჩელისათვის. საქართველოს მხარე დათანხმდა და მოიწონა ასეთი დახმარების გაწევა. მაგრამ, ამავე დროს, წარმოიშვა უთანხმოებანი ტყვარჩელის შახტში მეთანის შესაძლო აფეთქების ლიკვიდაციაში ჩვენ მიერ დახმარების გამო. საქართველოს მხარე ამ საკითხს უკავშირებს ქალაქ სოხუმის ელექტრომომარაგების საკითხს. ჩვენ, თუ არ უარვყოფთ ამ საკითხს, ყოველ შემთხვევაში არ ვუკავშირებთ მას ტყვარჩელის შახტებს, რადგან სოხუმის ელექტრომომარაგება საქართველოს საშინაო ამოცანაა და თვითონ ქართველებმა უნდა გადაწყვიტონ ეს საკითხი. ჩვენ არ ვერევით, უბრალოდ ერთხელ კიდევ დავადასტურეთ ჩვენი მზადყოფნა დახმარება გავუწიოთ ტყვარჩელის შახტებში შესაძლო მძლავრი აფეთქების თავიდან აცილებაში.

ყველაზე მთავარი მომენტი, რომლის გულისთვისაც შევიკრიბეთ, არის სამხედრო-პოლიტიკური საკითხის გადაჭრა. სამწუხაროდ, საკითხი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი. თუმცა მე მაქვს პროექტი ჩვენი გადაწყვეტილებისა „ცეცხლის შეწყვეტისა და გარდამავალი „გამაგრილებელი" პერიოდის შესახებ" და საქართველოს მხარის პროექტი, რომელსაც ეწოდება „რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფო დელეგაციების შეთანხმება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და შეიარაღებული დაპირისპირების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის გარდამავალი პერიოდის დაწყების შესახებ". პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს შეთანხმება მიუღებელია ჩვენთვის, რადგან აქ ძირითადად მთელი ვალდებულებანი ეკისრება რუსეთის მხარეს. საქართველოს მხარე თვითონ პრაქტიკულად არაფერს კისრულობს, ხოლო მესამე მხარეზე — აფხაზთა მხარეზე საერთოდ არაფერი არ არის ნათქვამი.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამ საკითხებზე მუშაობისათვის დავტოვოთ ჩვენი საექსპერტო ჯგუფები და ვიმედოვნებთ, რომ საღამოს ორი დოკუმენტისაგან იშვება ერთი დოკუმენტი, რომელიც მისაღები იქნება რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი ფიგურირებს ორივე პროექტში, და საქართველოს მხარე მათ პირველ საკითხადაც კი აყენებს. ეს არის „ცეცხლის შეწყვეტა კონფლიქტის ზონის მთელ ტერიტორიაზე, ძალის გამოუყენებლობა, საქმიანობის განახლება კონტროლისა და ინსპექციის კომისიის გაძლიერებული, გაძლიერებული შემადგენლობით, შესაბამისი წინადადებების შემუშავება და მიღება. გთავაზობთ სამუშაოდ მოვიწვიოთ გაეროს და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეთვალყურენი".

ეს საკითხი ჩვენთანაც ისმება.

საკითხის გადაჭრაში აფხაზეთის მხარის ჩაბმა ჯერჯერობით დაგეგმილი არ არის, რადგან ჩვენი მოლაპარაკება ორმხრივია, საქართველოსა და რუსეთს შორის, მაგრამ აი შემდგომში, თუ ჩვენი მუშაობის შემდეგ გაიმართება უმაღლესი დონის შეხვედრა რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის, ჩვენ შევთავაზებთ ამ დასკვნითი შემაჯამებელ მოლაპარაკების პროცესში ჩაებას აფხაზთა ხელმძღვანელობა.

„უშიშროების ზოლი" სამხედროთა თვალსაზრისით სავსებით რეალურია, ხოლო პოლიტიკოსთა თვალსაზრისით — ორივე მხარეს აქვს თავისი ინტერესები და ძნელად თანხმდებიან ჩვენს წინადადებებს „უშიშროების ზონის" კოორდინატების განსაზღვრისა და ჯარების გაყვანის შესახებ.

მინდა გაცნობოთ, რომ მივიღე ოფიციალური მიწვევა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შესახვედრად. მე უნდა მოვეთათბირო პრეზიდენტ ბორის ელცინს. მაგრამ საქართველოს მხარეს ვაცნობე, რომ თუ არ გადაწყდა ძირითადი — სამხედრო-პოლიტიკური საკითხი, ეტყობა, ამ ეტაპზე საჭირო არ არის შევხვდე ბატონ შევარდნაძეს.

თუ მოლაპარაკების შედეგების მიხედვით არ შეიქმნება ერთიანი დოკუმენტი, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ არის მოლაპარაკების განგრძობის საჭიროება.

თენგიზ სიგუა, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მოლაპარაკებაზე სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი:

— ჩვენი საბოლოო წინადადებანი სამხედრო ურთიერთობის შესახებ გადავეცით რუსეთის მხარეს. რუსეთისა და საქართველოს მხარეების წინადადებათა მრავალი პუნქტი ერთმანეთს ემთხვევა. მთავარია, **ჩვენ შევთანხმდით, რომ ეშერიდან გაყვანილი იქნებიან რუსეთის ჯარების სამხედრო ფორმირებანი.**

მაგრამ იქ არის კიდევ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ბოლომდე შეთანხმებული არ არის. ეშერაში რუსეთის სამხედრო ფორმირებების გაყვანის შემდეგ დარჩებიან მხოლოდ მეთვალყურენი. მეთვალყურეობას გაუწევენ ინჟინრები სამხედრო-საინჟინრო მოწყობილობით.

მოლაპარაკებაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ტყვარჩელის საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქი ტყვარჩელი ელექტროენერგიით მარაგდება ენგურჰესიდან, ხოლო ელექტრომომარაგების მართვა ხდება საქენერგოს ცენტრალური სადისპეტჩერო სადგურიდან, რომელიც თბილისში მდებარეობს. ქალაქი სოხუმი ელექტროენერგიით მარაგდება სოხუმჰესიდან, რომელიც მდებარეობს ქალაქის ჩრდილოეთით. ჩვენ მოვილაპარაკეთ შეუფერხებლად მოვამარაგოთ ტყვარჩელი თბილისიდან, ხოლო სოხუმი — სოხუმჰესიდან. მაგრამ ეს პირობა არ სრულდება, რადგან აფხაზთა მხარეს ყოველდღიურად მწყობრიდან გამოჰყავს სოხუმჰესი და 100-ათასიანი მოსახლეობის ქალაქი ყოველდღიურად რჩება უენერგიოდ, ხოლო რადგან ენერგია არ არის, არც წყალია. წარმოიდგინეთ, რომ საავადმყოფოები, სკოლები, სკოლამდელთა დაწესებულებანი უშუქოდ და უწყლოდ არიან. რაც შეეხება აფეთქებას ტყვარჩელში, არავითარი საშიშროება არ არის, თუ იქ სასწრაფოდ მივაწოდებთ ელექტროენერგიას. ამიტომ ჩვენ ვსვამთ პირობას: ნუ გამორთავთ სოხუმს და არ იქნება გამორთული ტყვარჩელი. მაგრამ? რუსეთის მხარე ცალმხრივად აყენებს საკითხს: რა ვუყოთ ტყვარჩელს? ჩვენ კი ვსვამთ კითხვას: რა ვუყოთ სოხუმს? მაგრამ რატომღაც რუსეთის მხარეს არ

(დასასრული მე-3 გვ.).

რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება

(დასასრული)

ანალოგიურს სოხუმის ბიდი, მე შევთავაზე ჩაიწერათ: შეუფერხებლად უზრუნველყოთ როგორც ტყვარჩელის, ისე სოხუმის ელექტროენერგიით მომარაგება. მინდა შევნიშნო, რომ ტყვარჩელში არ არსებობს არავითარი საშიშროება, მთელი სავენტილაციო სისტემა წესრიგშია. საჭიროა მხოლოდ ელექტროენერგიის მიწოდება და მეთანი გაქრება. დაფიქრდით, რა საფრთხე ემუქრება სოხუმს. უკვე თბილა, არ არის ელექტრობა, არ არის წყალი. და არსებობს ეპიდემიის გაჩენის შესაძლებლობა. დაიღუპება უამრავი ხალხი. ამიტომ სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი.

დავსვით საკითხი ბომბორის აეროპორტის შესახებაც. ჩვენ მოვითხოვეთ ამ აეროპორტში დაწესდეს სამეთვალყურეო კონტროლი საქართველოს მხრიდან და საერთაშორისო ორგანიზაციის, კერძოდ, გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიერ. ეს საკითხი განიხილებოდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

გარდა ამისა, ჩვენ დავსვით ლაბორატორიისა და შახტების საკითხი. მათი მიტოვება არ შეიძლება, უნდა გადავცეთ საქართველოსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიებს, რათა დროთა განმავლობაში აღადგინონ მათი საქმიანობა. ეს საკითხი სიტყვიერად უკვე შეთანხმებულია. მაგრამ ჯერჯერობით ოქმებში არ ასახულა.

პრობლემა ჯარების დაშორიშორების ზონაში იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შესრულდება შეთანხმების დანარჩენი პუნქტები. ჩვენ გვაშინებს ის ფაქტი, რომ სექტემბერში, როცა პირველი კომისია შეუდგა მუშაობას მოსკოვში 3 სექტემბრის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მხოლოდ პირველ ორ კვირას: გაშორიშორებული იყვნენ საჯარისო ნაწილები მდინარე გუმისთის ხაზზე. მაგრამ 1 ოქტომბერს შეთანხმება დაირღვა და სამხედრო ფორმირებებს, რომლებიც მოვალენი იყვნენ ჩარეულიყვნენ ამ კონფლიქტში და არ დაეშვათ ბარბაროსული აქტი გაგრაში. პრაქტიკულად არაფერი არ უღონიათ. ამიტომ ჩვენ ვშიშობთ: ხელს მოვაწერთ შეთანხმებას და ყველაფერი დარჩება ქაღალდზე და არ შესრულდება. საჭიროა კონტროლი, სერიოზული კონტროლი. უნდა შევიმუშაოთ ისეთი მექანიზმი, რომელიც სავალდებულო წესით აიძულებს შერეულ სამხედრო ფორმირებებს ჩაებნენ მოქმედებაში როგორც ერთ-ერთი მხარე დაარღვევს შეთანხმების პირობებს.

გალინა ჩიქოვანი,
ვლადიმერ თავაძე,
არმაზ სანებლიძე.

იხსნება დოიჩე ბანკის წარმომადგენლობა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გერმანიიდან მიიღო დოიჩე ბანკის პრეზიდენტის გეორგ კრუპის წერილი. წერილში ნათქვამია, რომ ბატონი კრუპი აპირებს ეწვიოს თბილისს ამა წლის 4-5 მაისის პერიოდში, რომლის კონკრეტული მიზანია საქართველოს დედაქალაქში მისი ბანკის წარმომადგენლობის საზეიმო გახსნა.

გარდა ამისა, ნათქვამია წერილში, პირადადაც მინდა გავაღრმავო თქვენს ქვეყანასა და დოიჩე ბანკს შორის დამყარებული კეთილი კონტაქტები. ამიტომ ჩემთვის სასიამოვნო იქნება კვლავ შეგხვდეთ თქვენ და ამით განვაგრძო ის კარგი საუბრები, რომლებიც მქონდა თქვენთან და თქვენს პრემიერ-მინისტრთან შარშან სექტემბერში.

ვსარგებლობ შემთხვევით, წერს ბატონი კრუპი, და მინდა უკვე ახლა სულითა და გულით მოგიწვიოთ დარბაზობაზე ქალაქ თბილისში, რომელიც ამა წლის 5 მაისს გაიმართება ჩვენი წარმომადგენლობის გახსნის გამო. ოფიციალურ მოწვევას გამოგიგზავნით დამატებით, როგორც კი დამთავრდება მოსამზადებელი ორგანიზაციული ღონისძიებანი. სიხარულით ველი ახალ შეხვედრას თქვენს ქვეყანასთან და დავრჩები თქვენი დიდი პატივისმცემელი. თქვენი გ. კრუპი, ნათქვამია წერილში.

შტაბმა განიხილა

ამა წლის 8 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ბატონ რომან გოცირიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეკონომიკური რეფორმის შტაბის მორიგი სხდომა. შტაბმა განიხილა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის (სახელმწიფოთაშორისი საანგარიშსწორებო ურთიერთობათა კომისიის) დროებითი დებულების პროექტი, საქართველოსა და [illegible] რესპუბლიკებს შორის საანგარიშსწორებო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული საკითხები და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტი, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში, სამხედრო მდგომარეობაში მყოფ რეგიონებსა და დამნაშავეობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში დაზარალებულ სამხედრო მოსამსახურეთა, საინფორმაციო სადაზვერო სამსახურის მუშაკთა, მოხალისეთა და მათი ოჯახის წევრთათვის შეღავათებისა და დახმარებების დაწესების შესახებ.

ეკონომიკური რეფორმის შტაბის სამდივნო

ოთხი წლის გადასახედიდან



9 აპრილი არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოა, არამედ საქართველოს ერთიანობისა და წინსვლის დღეც არის. მაშ, გადავაქციოთ ეს დღე საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ!

თითქოს გუშინ [illegible] შეკრებული, ერთი მიზნით გამსჭვალული, ხელიხელჩაკიდებული თბილისი და არა მხოლოდ თბილისი... აპრილის [illegible] საოცარ დღეებში [illegible] საქართველო მოაწყდა [illegible] რუსთაველზე. აქ ხომ ასე [illegible] მისაწვდომი იყო თაობიდან თაობაზე [illegible] გადასული, ზოგიერთი ჩვენგანის გულში გაუცნობიერებლად არსებული, ზოგისთვის კი ამქვეყნად ყოფნის აზრთან და დანიშნულებასთან გათანაბრებული, საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა. რწმენით შეკრული და ოცნების ახდენასთან მიახლოებით ალტკინებული იდგა იმ დღეებში რუსთაველზე საქართველო...

ოთხი წელიწადი გავიდა იმ ბობოქარი და აღმაფრენით აღსავსე დღეებიდან, ოთხი გრძელი და მძიმე წელიწადი. ამ ხნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაზე დატეხილმა ქარტეხილებმა თითქოს ერთგვარად ჩრდილში მოაქცია ერის ისტორიაში ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღი. თუმცა წინააღმდეგობრივი მიდგომა მისდამი მაშინაც და ახლაც საკმაოდ აშკარა და თვალშისაცემია. ამის დასტურია ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებებიც, რომლებიც 1989 წლის 4-9 აპრილის აქციის ზოგიერთმა ორგანიზატორმა და მონაწილემ გაგვიზიარა.

— როგორ აფასებთ ამ მოვლენას დღეს, წლების გადასახედიდან? — ამ კითხვით მივმართეთ თითოეულ მათგანს.

თამარ ჩხეიძე: საქართველოს პარლამენტისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი:

— ჩვენ დღესაც ისევე ვაფასებთ ამ მოვლენას, როგორც ოთხი წლის წინათ. ჩვენი დამოკიდებულება მკვეთრად განსხვავდებოდა უმრავლესობის აზრისაგან, რომელიც უფრო ეიფორიული იყო და 9 აპრილს დიდ გამარჯვებად მიიჩნევდა. 4 აპრილს დაწყებული მჯდომარე აქციის ორგანიზატორი სწორედ ჩვენი საზოგადოება იყო. აქცია ფაქტობრივად გადმოვიტანეთ სოხუმიდან, სადაც ლიხნის ცნობილი მიმართვის შემდეგ საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. ამით ჩვენ ბრძოლის ცენტრი გადმოვიტანეთ სოხუმიდან თბილისში, რადგან იქ მეტი საფრთხე იყო მოსალოდნელი. აქციის მოთხოვნები მთლიანად აფხაზეთს უკავშირდებოდა. კერძოდ, მთავარი იყო საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების იძულება, გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები აფხაზეთში გაბატონებული ანტიქართული ტენდენციისა და უსამართლო საკადრო პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ დაიწყო უთანხმოება შემოერთებულ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან აქციის წარმართვასთან დაკავშირებით. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ჯერ სწორედ აფხაზეთის პრობლემა უნდა გადაწყვეტილიყო, რაც იყო კიდეც აქციის მიზანი. მით უმეტეს, რომ უკვე 5 აპრილს გამოჩნდა ნიშნები, რომ მთავრობა მართლაც წავიდოდა გარკვეულ დათმობებზე, მაგრამ ჩვენი აზრი არ გაიზიარეს. დავკარგეთ აქციის მართვის შესაძლებლობა და წინ წამოიწია დამოუკიდებლობის მოთხოვნამ.

მოვლენათა მთელი განვითარებიდან იკვეთებოდა ტენდენცია, რომ იმპერია სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის ემზადებოდა. ყოველ შემთხვევაში, 8-ში უკვე სრულიად ნათელი გახდა, რომ იგი ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. იმის შეფასებას, რაც ჩაიდინა საბჭოთა იმპერიამ, რასაკვირველია, არ დავიწყებ. მაგრამ არის საკითხი, რომელიც არ შემიძლია არ ვთქვა. როდესაც ცხადია, რომ მოწინააღმდეგე მხარე მშვიდობიან ხალხთან ძალისმიერ ანგარიშსწორებას აპირებს, არ უნდა მოიქცე ისე, როგორც ბრძოლის ველზე მოიქცეოდი. წინასწარცნობილი სისხლისღვრისათვის არ შეიძლებოდა ხალხის გაწირვა. სამწუხაროდ, ვერ გავიტანეთ ჩვენი აზრი. ვერც უწმინდესის მოწოდებამ გაჭრა, თუმცა, მიგვაჩნდა, რომ ის მაინც უნდა გაეზიარებინათ...

9 აპრილის ერთმნიშვნელოვნად შეფასება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მის შემდეგ გაბატონდა საყოველთაოდ საქართველოს საზოგადოებრიობაში ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა. მაგრამ სწორედ 9 აპრილის შემდეგ მოხდა ამ იდეის პროფანაციაც. რას ვგულისხმობ? — როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ნახა, რომ ამ იდეას სხვაგვარად ვერ დაუპირისპირდებოდა, გზა ამ იდეით სპეკულაციისაკენ აიღო — რეალურ დამოუკიდებლობას დაუპირისპირეს დამოუკიდებლობის გაყალბებული ლოზუნგი. 9 აპრილის შემდგომ მოხდა ეროვნულ მოძრაობაში იმ ძალების აღზევება, რომლებიც დაეუფლნენ მასობრივი მოძრაობის სადავეებს და წარმართეს საქართველოს პოლიტიკური განვითარება, მართალია, დამოუკიდებლობის ლოზუნგით, მაგრამ არა იქითკენ, სადაც ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა მოიპოვებოდა. შემდგომ პერიოდში უკვე აშკარა გახდა, რომ ეროვნულ მოძრაობაში, მაშინ, როცა გადამწყვეტი სიკეთისა და სიყვარულის იმპულსი უნდა ყოფილიყო, დამკვიდრდა სიძულვილის, გაუტანლობის იმპულსები. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მთელ მოძრაობაში ასე იყო. დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა პრესა, ტელევიზია. იქმნებოდა ათასგვარი მითი ეროვნული მოძრაობის „პატრიარქზე". და ეს ყველაფერი ხორციელდებოდა კომუნისტური კონტროლის ქვეშ, რადგანაც, ჩემი აზრით, სწორედ მათ აწყობდათ ეროვნული მოძრაობის ნეობოლშევიკური და ნაციონალისტური გზით განვითარება და ამ პროცესის „მრგვალი მაგიდის" ხელისუფლების სათავეში მისვლით დაგვირგვინება. „მრგვალი მაგიდის" მოსვლა კლასიკური მაგალითია ეროვნული მოძრაობის პროფანაციისა და მისით სპეკულირებისა, რითიც მშვენივრად ისარგებლეს კომუნისტურმა ძალებმა და მიაღწიეს კიდეც ამ მოძრაობის დისკრედიტაციას „მრგვალი მაგიდის" მოღვაწეობით. მოვლენათა ამგვარი განვითარების მთავარი ღერძი გახდა სწორედ 9 აპრილი. საერთოდ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მთელი ეს პროცესი გარკვეულწილად მოსკოვში დაწერილი სცენარით იმართებოდა. ამ სცენარში შედიოდა პატიაშვილის გუმბარიძით შეცვლა, ხოლო გუმბარიძის ხელისუფლება ჩაფიქრებული იყო გარდამავალ პერიოდად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოყვანისათვის. ამ სცენარში აუცილებლად შედიოდა 9 აპრილის სისხლისღვრა. ასე რომ, ეს მოვლენა, რომელიც იყო გამოვლინება ქართველთა ეროვნული გრძნობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისა, ბოროტად იქნა გამოყენებული და არასწორი გზით წარმართული.

ირაკლი წერეთელი. საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე:

— ეს იყო ბოლო 70 წლის განმავლობაში ქართველი ერის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული მოვლენა, მასზე დიდი მოვლენა ამ საუკუნეში იყო მხოლოდ 1919 წლის 26 მაისი, როცა საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რომელიც 1921 წლის თებერვალში რუსეთის მიერ განხორციელებული ანექსიის და ოკუპაციის შედეგად კვლავ დაკარგა. მას შემდეგ, მთელი 70 წლის მანძილზე, 9 აპრილზე უფრო თავგანწირვით საქართველოს თავისუფლების მოპოვებისათვის აღარ გაუბრძოლია. 9 აპრილი უფრო დიდი მოვლენა იყო, ვიდრე 1924 წლის აჯანყება, რადგანაც ეს აჯანყება დამთავრდა საშინელი ფიზიკური დამარცხებით, რასაც თან მოჰყვა ქართველი ერის საუკეთესო ინტელექტუალური ნაწილის, მთელი თაობის ფიზიკური განადგურება და რეპრესიები საქართველოში. ხოლო 9 აპრილს შედეგად მოჰყვა მთელი ქართველი ერის, თითოეული ქართველი კაცის ცნობიერებასა და ცხოვრებაში უდიდესი გადატრიალება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეის სასარგებლოდ. სწორედ 9 აპრილის შემდეგ გახდა შეუვალი და უზენაესი ის იდეა და უდავო ჭეშმარიტებად დამკვიდრდა ის ფაქტი, რომ საქართველო უნდა გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. 9 აპრილის უშუალო დამსახურებაა ის, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, რომელშიც მე პირადად არ ვმონაწილეობდი, სასტიკი დამარცხება იწვნია კომუნისტურმა რეჟიმმა. მართალია, 28 ოქტომბერს არჩეულმა ხელისუფლებამ ვერ გაამართლა ერის იმედები, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ბრალია და არა 9 აპრილის. ამასთან, გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ქრონოლოგიურად 9 აპრილი წინ უსწრებდა საბჭოთა იმპერიაში მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრებას, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სუვერენიზაციას, ვარშავის ხელშეკრულების დაშლას, გერმანიის გაერთიანებას, აღმოსავლეთ ევროპის დეოკუპაციას და, ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლას. ამიტომ მიმაჩნია, რომ 9 აპრილმა თავისი დიდი სიტყვა თქვა და უცილობელი. წვლილი შეიტანა ამ პოზიტიურ მოვლენათა და პროცესთა დაჩქარებაში. 9 აპრილი შეიძლება შეფასდეს, როგორც ეროვნული რევოლუცია საქართველოში. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მთელი სიღრმით ვერ გააცნობიერა ამ მოვლენის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. მან არ გააგრძელა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ის გზა, რომელსაც ადგა აპრილის საყოველთაო გამოსვლების დროს. ამის საშუალება ქართველ ხალხს ნამდვილად ჰქონდა. ამიტომ, დღეს 9 აპრილის მხოლოდ ტრაგედიად მოხსენიება ელემენტარული უპასუხისმგებლობაა. რა თქმა უნდა, ადამიანების სიკვდილი ტრაგედიაა, მაგრამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, უკანასკნელ თვეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ომში ასობით ქართველი დაიღუპა და, რაც მთავარია, მასში ჯერჯერობით ქართველთა გამარჯვებას სასიკეთო პირი არ უჩანს. გამოდის, რომ ჩვენ გლოვას უნდა მივეცეთ და სიმძიმილში ჩავვარდეთ. მე მიმაჩნია, რომ ქართველ ხალხს 9 აპრილის შემდეგაც იმ გზით რომ ევლო, რა გზითაც 9 აპრილამდე მივიდა, საქართველოს უკვე დიდი ხნის მიღწეული ექნებოდა დამოუკიდებლობა, და, რაც მთავარია, გადავრჩებოდით ამდენ სისხლსა და უბედურებას, რომელიც მერე დაგვატყდა თავს.

9 აპრილის განსაკუთრებული მნიშვნელობა კიდევ ის იყო, რომ მან ქართველი ერის დიდი უმრავლესობა ერთმანეთისა და სამშობლოს განუზომელი სიყვარულით შეკრა. დღეს კი საქართველოში სიძულვილი, შური, ურთიერთმტრობა და უნდობლობა გამეფებული.

ვაჟა ადამია: საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარე. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე:

— 1989 წლის 9 აპრილმა შეძლო ერის არნახული კონსოლიდაცია. მან თვისობრივად სულ სხვა ეტაპზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ზნეობრივად განწმინდა იგი. მან ერთმანეთის გვერდში, მხარდამხარ დააყენა ყველა, ისინიც კი, ვისაც ერთმანეთთან სალაპარაკო ენა დაკარგული ჰქონდა ან ვერ გამოენახა. მან მოიტანა ჩვენი პოლიტიკური და სულიერი განწმენდა და განათლება. 9 აპრილმა ერთი კონკრეტული ყოვლისმომცველი იდეით დამუხტა და გააერთიანა ერი. ამ ერთმა დღემ შეძლო ის, რასაც, ალბათ, 50 წელიწადიც რომ დაგვჭირვებოდა, მაინც ვერ მივაღწევდით. მან მთელი სიცხადით დაგვანახა, რა გზით უნდა ევლო საქართველოს. დღეს [illegible] რეალობაა ის, რაც არა მხოლოდ ამ დღის, [illegible] საუკუნეების განმავლობაში ოცნება იყო — [illegible] იურიდიულად დამოუკიდებელი სახელმწიფო. [illegible] კი ჩვენ ისეთივე ერთიანი ვიქნებით, [illegible] შევძლებთ რეალური დამოუკიდებლობის [illegible]

აქა-იქ, თურმე, ვიღაც-ვიღაცეები ინტერესდებიან, რატომ ლიდერებს არ დაემართათ რამეო. იქიდან [illegible] არავინ გაქცეულა. ნოდარ ჯანგირაშვილმა ორი და გადაარჩინა და თავად შეეწირა. ჩემი თვალით ვნახე, როგორ დასტიროდნენ ისინი ამ ჭეშმარიტ ვაჟკაცს.

შეგნებულად გაწირა ხალხმა თავი. მათი ხსოვნა, მათი სისხლი გვავალდებულებს, რომ ისევ ერთად ვიყოთ. ამ დღემ მოგვცა ერთად დგომის საუკეთესო, ცხადი გაკვეთილი. დაღუპულთა უმანკო სულები არ მოგვასვენებენ, თუ ჩვენ მათი წმინდა სისხლის ფასად მოპოვებული ერთიანობა არ შევინარჩუნეთ. არ გვაპატიებენ, რომ დღეს ასე დაქსაქსულები ვართ... რომ გვახსოვდეს, რასაც ისინი შეეწირნენ, ალბათ, სხვაგვარად ვიქნებოდით..

დრო და ისტორია შეაფასებს ყოველივეს. მე იმის გადმოსაცემად, რასაც ამ უდიდესი მნიშვნელობის დღეზე ვფიქრობ, სიტყვებსაც კი ვერ ვპოულობ. ერთი შეიძლება მხოლოდ დაბეჯითებით ვთქვა: რა დროც უნდა გავიდეს, 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობა ჩვენი ერის ისტორიაში არ დაკნინდება და არ გახუნდება.

გიორგი ჭანტურია: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე:

— 9 აპრილის შესახებ ბევრი რამ ითქვა და კვლავაც ითქმება. საბოლოო სიტყვას, ალბათ, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იტყვიან კომპეტენტური პირები, უწინარესად, ისტორიკოსები. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ წამოვიდა ერთი ტალღა, რომელიც ამ მოვლენაში მხოლოდ დადებით მხარეებს — გამარჯვებას, კათარზისს — ხედავდა. დღეს კი წამოვიდა მეორე, სრულიად საპირისპირო მოსაზრებათა ტალღა, რომელიც მას მკვეთრად უარყოფითად აფასებს.

პირადად ჩემი აზრით, არც ერთ ეს აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზიის მქონე ანალიზი არ არის სწორი და სიმართლე სადღაც მათ შუაშია. 9 აპრილი პოლიტიკური მოვლენა იყო. პოლიტიკური მოვლენები კი არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა აბსოლუტურად დადებითი ან აბსოლუტურად უარყოფითი. ამიტომ, ამ მოვლენასაც არ შეიძლება მიეცეს ერთმნიშვნელოვანი შეფასება. მას ჰქონდა დადებითი მომენტები, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ერის, მართალია, მოკლე ხნით, მაგრამ მაინც ფსიქოლოგიური გაერთიანება. ამ დღის შემდეგ მტერი გახდა ფიზიკურად ხელშესახები, ანუ მტერი გახდა თვალშისაცემი და ქართველმა ხალხმა მტრის სახე, რომელიც თეორიულად იცოდა, ხელახლა ცხადად დაინახა. რაც მთავარია, 9 აპრილის შემდგომ კომუნისტურმა სტრუქტურებმა არსებობა შეწყვიტეს და არაფორმალური ხელისუფლება ეროვნული მოძრაობის ხელში გადმოვიდა. ესე იგი, 9 აპრილმა გამოიწვია ხელისუფლების პარალიჩი. და კიდევ, 9 აპრილმა დაამსხვრია მითი გარდაქმნისა და საჯაროობის შესახებ. იყო, რასაკვირველია, სხვა დადებითი მომენტებიც, მაგრამ ამ დღეს მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარეებიც ახლდა. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო მსხვერპლი. მსხვერპლად შეწირვა მაშინ არის გამართლებული და კარგი, როცა იგი გააზრებულად ხდება სამშობლოსათვის. ჩვენ, პოლიტიკოსებს, ან ვინც პოლიტიკოსობაზე პრეტენზიას აცხადებს, გვაქვს უფლება, საკუთარი სიცოცხლე მივიტანოთ ჩვენი იდეის სამსხვერპლოზე. მაგრამ არავითარი უფლება არა გვაქვს, თუნდაც საკუთარი შვილის სიცოცხლე შევწიროთ. რადგან, ის უკვე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავისი შეხედულებებით არსებობის ხელშეუხები უფლება აქვს. 9 აპრილს რომ ყოფილიყო გააზრებული თვითშეწირვის ფაქტი, იგი მართლაც იქნებოდა დიდი გამარჯვებისა და კათარზისის ტოლფასი. მაგრამ აქციის ბევრმა მონაწილემ, და მათ შორის მეც, არ დავიჯერეთ, რომ ასეთი დიდი თამაშის დროს მოსკოვი ამ ნაბიჯს გადადგამდა. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან უკვე გვქონდა ნოემბრის გამოცდილება, როცა გვემუქრებოდნენ, გვაშინებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ლიდერების მეორე ნაწილს, უფრო ზუსტად გამსახურდიას, ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა მოჰყვებოდა აქციას მსხვერპლის და მისი პოლიტიკური კარიერის თვალსაზრისით. კრემლი ხომ ამ წამგებიან ნაბიჯზე იმიტომ წავიდა, რომ ხელისუფლებაში მოეყვანა ზვიადი, რომელმაც, მართლაც ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მოსკოვს აძლევდა ხელს. მან უამრავი დრო დაგვაკარგვინა — რომ არა მისი დამღუპველი პოლიტიკა, საქართველოში დღეს შეუდარებლად უკეთესი პოლიტიკური სიტუაცია იქნებოდა. სწორედ გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლა იყო 9 აპრილის მეორე უარყოფითი შედეგი.

საერთოდ, **რატომ იყო იმხელა** მსხვერპლი მთავრობის სახლთან და უსისხლოდ გადავრჩით ტელევიზიასთან? უკვე 7 აპრილს მოვუწოდეთ ქალებს ტელევიზიასთან, რომ აქცია დაეტოვებინათ. ძირითადი მასა იქ მამაკაცები იყვნენ და სიტუაციას მართავდა ორგანიზებული ძალა ჩვენი პარტიის სახით. ტელევიზიასთან გაცილებით იოლი იყო მსხვერპლი, მაგრამ არ გავქცეულვართ, ერთმანეთზე არ გადაგვივლია პანიკით შეპყრობილებს. ჩვენმა ორგანიზებულობამ გადაარჩინა იქ ლიდერებიც და რიგითი მონაწილეებიც, და არა სხვა რამემ, როგორც ეჩვენებათ „ვარაუდობენ" ზოგიერთები.

თემურ ჟორჟოლიანი: საქართველოს პარლამენტის წევრი. საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის თავმჯდომარე:

— 9 აპრილი უზარმაზარი მოვლენაა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებაში, რომელმაც, შეიძლება ითქვას, თავისუფლების კარიბჭე გაუღო დაპყრობილ ხალხებს. 9 აპრილს დაღვრილი თავისი უმანკო სისხლით ქართველმა ერმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ აჩვენა თავისუფლებისათვის ბრძოლის მაგალითი. ამ მოვლენით დაიწყო აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ იმპერიაში საერთო დემოკრატიზაციის პროცესები.

9 აპრილი ჩემთვის ერის კონსოლიდაციის, ამაღლების, მისი შინაგანი პოტენციის გამოვლინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია. ის ურთიერთსიყვარული, ერთობა, რომელიც ჰქონდათ ამ დღეებში ქართველებს, სწორედ ამის დასტურია. ამ დღეებმა ცხადად დაგვანახა, რა შეუძლია ერს, თუ იგი ერთიანია, ერთსულ და ერთხორც არის შეკრული და ერთი დიადი მიზნისათვის იბრძვის.

საქართველოს ისტორიაში ცოტაა ასეთი მონოლითურობის, ზეამაღლების მაგალითები. ასეთი ზეამაღლების შედეგი იყო, ალბათ, დიდგორის, ბასიანის ბრძოლებში ქართველთა მიერ მიღწეული წარმატებები. თუ ერს ამ სიმაღლეზე ასვლა არ შეუძლია, მაშინ იგი, ალბათ, არ არის მზად თავისუფლებისათვის და ვერც მიაღწევს მას. 9 აპრილმა დაანახა ყველას, რომ ქართველი ერი თავისუფლების ღირსი ერია.

9 აპრილი ჩვენთვის, თავისთავად ცხადია, უდიდესი ტკივილის და მძიმე ჭრილობების დღეა... საქართველოში დიდხანს იცოცხლებს ხსოვნა მისი გმირებისა.

დღეს გარკვეული პიროვნებები ცდილობენ დააკნინონ ამ მოვლენის მნიშვნელობა. მე დარწმუნებული ვარ: რა დროც უნდა გავიდეს, 9 აპრილი შევა და დარჩება საქართველოს ისტორიაში, როგორც ერის ამაღლების, აღზევების, ბრძოლისა და გამარჯვების დღე. უდიდესი ტკივილის დღე, რომლის მნიშვნელობის წაშლა და დაკნინება არც ისტორიას და არც ცალკეულ პიროვნებებს არ ძალუძთ. ჩვენ დღესაც მძიმე ტვირთად გვაწევს ამ დღის მიღებული ტრავმა და შეურაცხყოფა. არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც. იმ დღეებში თითქმის ყველა ვფიქრობდით, რომ ერს არ ეყოფოდა უნარი, დინჯად და ღირსეულად გადაეტანა ეს დარტყმა და იმპერიის მიერ პროვოცირებულ სისხლისღვრას შურისძიებით დაუპირისპირდებოდა, აგრესიული გახდებოდა საქართველოში მცხოვრები რუსი მოსახლეობის მიმართ. და აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა ქართველი ერის სიბრძნე, შორსმჭვრეტელობა, დარბაისლობა. ჩვენმა ხალხმა შეძლო დაეძლია შურისძიების განცდა და ჰუმანურობის პრინციპებით ეხელმძღვანელა, გაცვეთილი სიტყვაა ინტერნაციონალიზმი, მაგრამ საქართველომ თავისი ისტორიით დაამტკიცა, რომ ის ამ ნიშნის მატარებელი ქვეყანაა. არც ერთ ეპოქაში საქართველოში მცხოვრებ არც ერთი ხალხის გამო, არ ჰქონია ჩვენს ქვეყანას ისეთი პრობლემები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა იგი ბოლო ხანს იმპერიის „მეშვეობით". დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა, საქართველოში მცხოვრები ხალხი ამ გამოცდასაც გაუძლებს, ამ განსაცდელსაც გადაიტანს და საქართველო ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა იქნება თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის.

არის, აგრეთვე, ერთი მეტად მტკივნეული საკითხი, რომელიც არცთუ იშვიათად ხდება მაგანთა და მაგანთა მსჯელობის საგანი. სად გაიპარნენ ლიდერები — ასეთ კითხვას ხშირად გაიგონებ. ის, რომ იმ დღეს ყველა გადავრჩით, თუმცა, არცთუ უცნაურად, დღემდე ჩვენი ტკივილისა და სინდისის ქენჯნის მიზეზია. იქიდან არავინ გაპარულა. ეს ერის ზნეობრივი ამაღლების იმდენად კულმინაციური მომენტი იყო, რომ შიშის, სულმდაბლობის მომენტი აბსოლუტურად გამორიცხული იყო. ამიტომ, ამორალურია წამოძახილი 9 აპრილი თქვენ მოაწყვეთო. მე ღრმად მწამს, ჩვენი ხალხი დღესაც რომ დადგეს ამგვარი კატაკლიზმის წინაშე, იგი გაუძლებს და გადაიტანს, რადგან მას ჭირთათმენის დიდი შინაგანი ენერგია აქვს.

შოთა სიხარულიძე. საქართველოს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) თავმჯდომარე:

— 1989 წლის 4-9 აპრილის აქციის საბოლოო და პირუთვნელი შეფასება არც ისე ახლო მომავლის საქმეა. თუმცა ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება ახლავე გამოითქვას. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ აქციის შედეგებმა ერთ-ერთი გადამწყვეტი გავლენა იქონია იმპერიის რღვევის თვალსაზრისით. არც იმ გარემოების უარყოფა შეიძლება, რომ 9 აპრილმა შეძლო გარკვეული ხნით ქართველი ერის კონსოლიდაცია, მაგრამ, ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ტრაგედიამ, სამწუხაროდ, ხელი შეუწყო ცრუ კერპების შექმნას. გასარკვევია ის საკითხიც, თუ ვინ რა მიზნებს ისახავდა აქციის დაწყებისას. არ არის გამორიცხული, რომ 9 აპრილი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილიყო იმპერიულ თეატრში გათამაშებული პოლიტიკური ინტრიგებისა. 9 აპრილის მონაწილეთა უმრავლესობა, ფაქტობრივად, დიდ საჭადრაკო პარტიაში პაიკების როლს ასრულებდა. თუმცა, ისინი განუზომლად დიდი ღირებულების პრინციპს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს შეეწირნენ. თუკი აქციის ორგანიზატორებს გააზრებული არ ჰქონდათ, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ პოლიტიკურ ნაბიჯს, მაშინ მხოლოდ ორი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: პირველი — მათ ვერ განჭვრიტეს შესაძლო შედეგები, ან მეორე — ელემენტარული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს. კიდევ შეიძლება რაღაცის ფიქრი, რისაც მე, პირადად, მეშინია და რასაც ხანდახან საკუთარ თავსაც არ ვუმხელ.

არ არის გამორიცხული, რომ აქციის ორგანიზატორთა ერთი ნაწილი სპეციალურად ცდილობდა, ისე დამთავრებულიყო მოვლენები, რომ სისხლი დაღვრილიყო ვითომდა ხალხის გამოფხიზლების მიზნით. თუმცა, ნათქვამია, არა განიკითხოთ..

9 აპრილი მარტო ისტორია როდია. იგი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, დღემდე გრძელდება ყოველ ჩვენგანში. მისი გაგრძელებაა აფხაზეთი, სამაჩაბლო, და თუმცა ამ ოთხი წლის წინანდელი ტრაგედიის შემდეგ ჩვენ ერთგვარად კიდეც შევეჩვიეთ დაღვრილ სისხლს, 1989 წლის 9 აპრილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორც ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარეობისა და თავგანწირვის ერთ-ერთი დიდებული მაგალითი.

მაია ალუდაური.

ჩემი ცხრა აპრილი

ცხრა აპრილისადმი მიძღვნილი წიგნი რომ გამოვიდა, რასაკვირველია, მაშინვე ვიყიდე. როგორც კი გადავშალე, მივხვდი, რომ ვერ დავათვალიერებდი. წიგნი თაროზე შემოვდე და მისი წაკითხვა იმ დროისათვის გადავდე, როდესაც ცოტა მომიშუშდებოდა ამ მოვლენით მიყენებული სულიერი ჭრილობა.

9 აპრილისადმი ჩვენში ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს, ყველას ცხოვრებში მან თავისი შეუცვლელი როლი შეასრულა. ამიტომ ვამბობ: ყველას თავისი ცხრა აპრილი აქვს. ყველაზე დიდი, რაც მან მომიტანა პირადად მე, ტკივილია, რომელსაც წლები ვერა და ვერ აშუშებს. იმ საღამოს ამსახველი კადრები დღესაც ზუსტად ისევე მოქმედებს ჩემზე, როგორც მაშინ. ეტყობა არსებობს მოუშუშებელი იარები. ადამიანის სიცოცხლე ალბათ ძალზე მცირეა დიდი ტკივილის ბოლომდე მონელებისათვის.

რაღაც ნამდვილად დაიწყო ცხრა აპრილით საქართველოს ისტორიაში, მაგრამ რა?

ნამეტანს ნუ დაიბრალებს ეროვნული მოძრაობა. ერის გამოღვიძება მაშინ არ დაწყებულა. ერს ამ 70 წლის მანძილზე არ სძინებია (ამის დამადასტურებელი იმდენი კონკრეტული ფაქტია, ჩამოთვლას ვერ მოვყვები). 70-წლიანმა რეპრესიებმა, იმ ცხოველურმა შიშმა, ჯოჯოხეთური მანქანის თუხთუხით რომ გაუჯდა ძვალსა და რბილში თითოეულ ადამიანს, კი არ მოკლა ეროვნული სული, უბრალოდ წელში მოღუნა, რასაც ვერასდროს ეგუებოდა. მოღუნულს კი თუ სტკივა, თუ აწუხებს თავისი უჩვეულო პოზა, როცა იქნება, გაიმართება წელში უთუოდ.

ერის გამოღვიძება ილიამ დაიწყო წარსულ საუკუნეში, დაიწყო არა სისხლით, ტრაგედიით, არამედ სიტყვის შემოკვრით, მოყვარისთვის პირში ძრახვით. მან მერე ქართველს აღარ ჩაუთვლემია.

ამიტომ ჩემთვის ცხრა აპრილი ტკივილია, ტრაგედიაა და არა ახალი ერის დასაწყისი. მაგრამ ეს ჩემთვის. სხვას კი, როგორც უკვე ვთქვი, თავის ცხრა აპრილი აქვს.

აი, ნოდარ გიორგაძე:

— **რასაკვირველია,** ეს უზარმაზარი ტრაგედია იყო, არა მხოლოდ იმ ოჯახებისთვის, რომელთა კისერზეც უშუალოდ გადაიარა ამ სიმწარემ, არამედ მთელი საქართველოსთვის, თითოეული ჩვენგანისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, მაშინ რომ იყო ჩვენი ერი მთლიანი, დღეს რომ იყოს ასეთი, რა ბედნიერები ვიქნებოდით — კრიზისს დავაღწევდით თავს, ყველა პრობლემას გადავწყვეტდით. ამიტომ ამ ტკივილიან ტრაგედიაში ჩემთვის სინათლის ეს სხივი არის...

გურამ მამულია:

— **ეს იყო** უდიდესი ტრაგედია ქართველი ერის ცხოვრებაში, რადგან დაიღვარა უდანაშაულოთა სისხლი. კიდევ მეტი, ერთმა უზარმაზარმა მეორე ასევე დიდი ტრაგედია მოიტანა — გერმანიაში 9 აპრილთან დაკავშირებით მოწყობილმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ხალხი ამის შემდეგ პოსტკატასტროფულ შოკშია ფსიქოლოგიური განცდის თვალსაზრისით. ამის შემდეგ დაირღვა ჩვენში სულიერი წონასწორობა, გაბატონდა რადიკალიზმი და ექსტრემიზმი, რის შედეგად მივიღეთ „მრგვალი მაგიდის" ბატონობა საქართველოში. სწორედ მრგვალთა ხელისუფლების დამსახურებაა დღევანდელი საქართველოს უბედურების დიდი ნაწილი. მართალია 11 ოქტომბრის არჩევნებში ჩვენი ხალხი შემოტრიალდა რეალისტური პოზიციისაკენ, მაგრამ ინერციული მემკვიდრეობა იმდენად ძლიერია, რომ მისი საბოლოო დაძლევა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ჩვენში პოლიტიკა ეკონომიკაზე ბატონობს, გარეგნულად თითქოს შეიცვალა ტერმინოლოგია, ტოტალიტარული აზროვნების წესი კი იგივე დარჩა და ეს ჩვენი დღევანდელობის ყველაზე დიდი სენია.

ცოტა განსხვავებული აზრი აქვს იმ აქციის ერთ-ერთ უშუალო ორგანიზატორს და მონაწილეს ირაკლი წერეთელს.

— **9 აპრილი** ყველაზე დიდი გამოხატულება იყო ქართველი ერის სულიერი აყვავებისა XX საუკუნის ისტორიაში. ეს არის ქართველი ერის უდიდესი მორალური და პოლიტიკური გამარჯვება. ამან გახადა უძლეველი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. ამან დაუდო საფუძველი საბჭოთა იმპერიის რღვევას მსოფლიო მასშტაბით.

(მე კი აქამდე სულ სხვაგვარად ვუყურებდი იმპერიის რღვევის მიზეზებს. მაგრამ ეს არაფერი. ეს ჩვენი საუბრის თემა არ არის. თემას კი არ მინდა გადავუხვიო — გ. ხ.).

— ესე იგი თქვენ 9 აპრილს ტრაგედიად არ აღიქვამთ?

— კი. იმ ადამიანების სიკვდილი ტრაგედია იყო, მაგრამ საერთოდ ამ მოვლენაში გამარჯვება უფრო მეტია, ვიდრე მარცხი.

— დღეს რომ 1989 წლის 8 აპრილი იყოს, თქვენ ისევ ისე მოიქცეოდით, როგორც მაშინ?

— აუცილებლად.

— ...

მოსაუბრეს ცოტა ვაცდი. მერე სიტყვებს ძლივს ვუყრი თავს:

— რომ გცოდნოდათ, რომ ასეთი მსხვერპლი იყო მოსალოდნელი, მაინც იგივეს იზამდით?

— არა... ხალხს დასაშლელად მოვუწოდებდი, მე კი დავრჩებოდი.

იცით? რომ დაგვარბევდნენ, მაშინვე ვიცოდით, მაგრამ მსხვერპლს არ მოველოდით, სასიკვდილოდ თუ გაგვიმეტებდნენ, არ გვეგონა.

დიდად პატივცემულმა ერთმა კაცმა კი ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. ეს დღეს არავის სჭირდება, თქვა. ჩემი შეფასება იმდენად მძაფრია, რომ დღეს კიდევ უფრო გაამწვავებს სიტუაციას. განხეთქილებები კი არ გვაკლია. მოვა, ამის დროც მოვა, მშვიდად, გონებით შევაფასებთ იმ მოვლენებს...

ალბათ მოვა, ჯერჯერობით კი ხელუხლებელი დევს წიგნების თაროზე ჩემი „9 აპრილი".

გალინა ხარებაშვილი.

პრობლემა ფართო პლანით

ბედი ქართული წიგნისა: დღევანდელობა, პერსპექტივა

ამჟამინდელი უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირისა და საოცარი ინფლაციის პირობებში არ დარჩენილა ჩვენი ყოველდღიური ყოფისა თუ პრაქტიკული საქმიანობის არც ერთი დარგი ან უბანი, მეტნაკლები სიმწვავით რომ არ ვგრძნობდეთ პრობლემათა სიუხვეს. ამას, ცხადია, ვერც ქართული წიგნის გამოცემისას გადავურჩით, სადაც იმდენი სიძნელე შეიქმნა, რომ, თუ დროზე არ მივხედეთ და სათანადო ღონისძიებებიც არ განვახორციელეთ, ვითარება სულ უფრო გაუარესდება და ახლო მომავალში შესაძლოა გამოუვალი მდგომარეობაც შეგვექმნას.

სწორედ ამაზე და, საერთოდ, ქართული წიგნის საჭირბოროტო საკითხებზეა საუბარი ჩვენს დღევანდელ პუბლიკაციაში.

ვიქტორ რცხილაძე, ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თავმჯდომარე:

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ ქვეყნის გადარჩენის პარალელურად უნდა ვიბრძოლოთ ქართული კულტურის გადასარჩენად. ეს განცხადება უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მაღალი დონის მაჩვენებლად. ჩვეულებრივ, საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მსგავს ამოცანას მიზნად არ ისახავდნენ. „ზარბაზნების ქუხილის" დროს კულტურისათვის არავის ეცალა, წლობით იყინებოდა კულტურის საქმე და შემდგომ ათეული წლები დასჭირვებია პოზიციების დაბრუნებას. ალმავლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ამდენად, კულტურის მოღვაწეებს გვმართებს ღრმად გავიაზროთ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანა, დავინახოთ სერიოზულობა და სასიცოცხლო მნიშვნელობა იმ პრობლემისა, რაც იგულისხმება სიტყვებში „ქართული კულტურის გადარჩენა". როდესაც ქვეყანას კარს მოადგა ათასი ჯურის გარეშე მტერი, როდესაც მას კვლავ ვერაგულად ზურგში ხანჯალს სცემს შინაური მტერი, როდესაც იღუპებიან რჩეული ვაჟკაცები, ხოლო პარალელურად თარეშობენ გარეწართა ბანდები, მძლავრობს მაფია, იგეგმება საბოტაჟები, ხორციელდება დივერსიები და ტერორისტული აქტები, როდესაც მოშლილია ეკონომიკა, არ იხვნება, არ ითესება, ცოტაა ქირნახული, არ გვაქვს პური და არ გვყოფნის არანაირი პროდუქტი, როდესაც ვებრძვით ტოტალურ შიმშილს, თითქოს წარმოუდგენელიც კი უნდა იყოს, დროებით მაინც არ წყდებოდეს კულტურაზე ზრუნვა, თითქოს ხელისუფლებას ამისთვის არც უნდა ეცალოს. მაგრამ, საბედნიეროდ, სულ სხვა მოვლენის შემსწრენი ვართ. დაისახა ქართული კულტურის გადარჩენის გრანდიოზული პროგრამა — ქართველი ხალხის გადარჩენის დიდი პროგრამის პარალელურად! შეიქმნა ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტი და მას სათავეში თავად ბატონი ედუარდ შევარდნაძე უდგას.

ღრმად გვაქვს რა გააზრებული ამ მოვლენის მასშტაბურობა და სასიცოცხლო მნიშვნელობა, ბეჭდვითი სიტყვის კორპორაცია საჭიროდ თვლის საქვეყნოდ იმსჯელოს ქართული წიგნის ბედზე, რამეთუ ქართული წიგნი ქართული კულტურის უმთავრესი ინსტიტუტია.

დღეს ქართულ წიგნს ძალიან უჭირს. უჭირს ყოველნაირად. პოლიგრაფიულად ქართული წიგნი საგალალო მდგომარეობაშია: ჩვენი მწერლებისა და მეცნიერების საუკეთესო ნიმუშები უმდარეს ქაღალდზე ისტამბება და თანამედროვე ტექნიკისა და საჭირო მასალების უქონლობის გამო ცუდად იკინძება. მრავლობს წუნი.

ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამდენი კარგი წიგნი ქართველი და უცხოელი ავტორებისა არასდროს არ გამოსულა. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამდენი ცუდი წიგნიც არ გამოსულა არასდროს. ყოველი ჟანრის მდარე ლიტერატურა ზღვად მიაწყდა წიგნის ბაზარს. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ახლად გაჩენილი კომერციული გამომცემლობები უმეტესწილად მდარე ლიტერატურას ბეჭდავენ.

კომერციულმა ფასებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამომცემლობებს წაართვა საშუალება საკმარისი რაოდენობით შეეძინა საბეჭდი ქაღალდი და საწიგნე მასალები. სამაგიეროდ იგივე ქაღალდი და საწიგნე მასალები ადვილად მოიგდეს ხელთ ხუთ-შვიდკაციანმა კოოპერაციულმა გამომცემლობებმა და თითოოროლა გამონაკლისის გარდა, ყველა შეუდგა იაფფასიანი ლიტერატურის ბეჭდვას. დამუხრუჭდა მხატვრული ლიტერატურის ნამდვილი ნიმუშების, ღირებული მეცნიერული ნაშრომების, ხელოვნების ნაწარმოებთა ბეჭდვის საქმე. უკვე მერამდენე წელიწადია, დღის სინათლეს ელოდება კლასიკური მწერლობისა და მეცნიერების, უცხოური ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებთა საუკეთესო ნიმუშები. ყოველივე ეს დიდად აბრკოლებს ქართული მწერლობისა და მეცნიერების, ქართული ხელოვნების შემდგომ განვითარებას. დიდად ზარალდება ქართული წიგნი.

გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ქართული წიგნის პოლიგრაფიული დონის ამაღლება. ომის დამთავრებისთანავე უნდა დავიწყოთ ზრუნვა, რათა უახლოეს წლებში ქართული წიგნის პოლიგრაფიული დონე ჯერ რუსეთის, მერე ბალტიისპირეთის, ხოლო შემდეგ ეტაპზე მსოფლიო სტანდარტების დონეს გაუთანაბრდეს. არ შეიძლება შევურიგდეთ იმ გარემოებას, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება ფაქტობრივად ძონძებში იყოს გახვეული. სამისოდ ქართული პოლიგრაფიის ძირფესვიანი რეორგანიზაცია და თანამედროვე მანქანებით შეიარაღებაა საჭირო, რაც დღეისათვის შეუძლებელია.

მაგრამ ჩვენი ვალია, სანამ ეს შესაძლებელი გახდებოდეს, გამოვიყენოთ დღევანდელი ჩვენი პოლიგრაფიის ყველა რეზერვი და ტირაჟების მკვეთრი შემცირების ხარჯზე ამაღლდეს წიგნის ხარისხი.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რამ მიიყვანა ქართული წიგნი ასეთ საგალალო მდგომარეობამდე. მაგრამ წიგნთან დაკავშირებით მიზეზები თავისებურად ჯგუფდება და გვინდა ყოველივე ამის შესახებ მოკლედ შევახსენოთ მკითხველს. ისოდენ გარდაუვალი და აუცილებელი, ამდენად ჩვენთვის სასურველი დემონტაჟი საბჭოთა იმპერიისა, რაც სინამდვილეში ნგრევით გამოიხატა, ბუნებრივია, მოიტანდა გარკვეულ სიძნელეებს და ჩვენ ამისათვის მზად უნდა ვყოფილიყავით. მოიტანა მან დიდი სიძნელეები წიგნისთვისაც. დაინგრა რა ეკონომიკა, მოიშალა ეკონომიკური კავშირები, რასაც მალე მოჰყვა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ბაზრის ფასების დამკვიდრება. ე. წ. კომერციულმა ფასებმა გააუქმა სახელმწიფო ფონდები. პოლიგრაფიასა და გამომცემლობებს შეუწყდა საწიგნე მასალებისა და ქაღალდის მიწოდება. ყველაფერი კომერციულ ფასად უნდა შეეძინათ როგორც სტამბებს, ასევე გამომცემლობებსაც. ცენტრალური მომარაგების სწრაფი მოშლა მტკივნეულ პროცესად მოგვევლინა. თუ ტონა ქაღალდი გუშინ ღირდა 400 მანეთი, დღეს უკვე მისმა ღირებულებამ 100 ათას მანეთს გადააჭარბა! არნახულად გაიზარდა ფასები პოლიგრაფიული მასალებისა. ერთია გაძვირება, მეორეა საშინელი დეფიციტი! დასავლეთის რკინიგზის გაუქმება თავისთავად გულისხმობდა ქვეყნის ეკონომიკის „ვენების გადაჭრას".

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ეკლიან გზაზე ჩვენ ყველაფერს მოვითმენთ, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის საერთო საქვეყნო გასაჭირი, რომელიც დროებით მოგვდგომია კარს. მოვალენი ვართ, მოვლენებს ამ თვალით შევხედოთ, მაგრამ ამასთან სწორად უნდა შევაფასებდეთ ამა თუ იმ სფეროში შექმნილ მდგომარეობასაც.

ქართული წიგნი ვერ აღწევს საქართველოს სხვადასხვა კუთხემდე. სამეგრელოსა და აფხაზეთში — პოლიტიკური სიტუაციის გამო, მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში — ბენზინის უქონლობის გამო! საქწიგნი და ცეკავშირი უკვე კარგა ხანია ხელ-ფეხ შეკრულია. წიგნი ფაქტობრივად მხოლოდ თბილისში იყიდება.

შემცირდა წიგნის ფასი. არასდროს წიგნი ისე იაფი არ ყოფილა, როგორც დღეს, თუმცა ჩვენს გაჭირვებულ მოსახლეობას პირიქით ეჩვენება!

წიგნის ფასი შემცირდა იმის გამოც, რომ ჩაცხრა წიგნის ბუმი, დაიკარგა წიგნისადმი ინტერესი, რაც ასეთი მაღალი ჩანდა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. უმთავრესი მიზეზი გახლავთ მასობრივი გაღარიბება, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ კატაკლიზმებს მოჰყვა. აღიარებული სინამდვილეა, რომ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ფიქრი მიჯაჭვულია პროდუქტზე. გაწვდება თუ არა შემოსავალი პროდუქტს, შიმშილით ხომ არ ამოხდება სული? — აი, ადამიანთა მტანჯველი ფიქრი. და რაც მეტად საგულისხმო და ანგარიშგასაწევია, სწორედ წიგნის მყიდველი ხალხი გაღარიბდა. აღარ აქვს სახსარი. იმათი უმეტესობა კი, ვისაც ბევრი ფული ჰქონდა და ახლაც აქვს, ის არც თავის დროზე იყურებოდა წიგნისკენ და არც ახლა იტკივებს თავს წიგნზე ფიქრით. წიგნის მოსურნეს კი წიგნისათვის ფული არ რჩება. ცხადია, ხალხი ასე თუ ისე იგუებს პირველადი მოხმარების საგნების გაძვირებას, წიგნის ოდნავ გაძვირებას კი პროტესტს უცხადებს. არადა, სხვა საგნები თუ ორასჯერ, სამასჯერ გაძვირდა, წიგნები მხოლოდ 15-ჯერ, 20-ჯერ არის გაძვირებული და ღირს საშუალოდ 40, 60, 80, 100 მანეთი.

წიგნს კი მაღალი ფასი უნდა ედოს. როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა — „ვასილი როზანოვ, გენიალურ მგზნებელი სიტყვისა და სახელის, სწერს": „იაფფასიანი წიგნები — ეს უკულტურობაა. წიგნები სწორედაც ძვირად უნდა ფასობდნენ. ეს არაკი არაა (დღეს ვერც არაკზე ვიტყვით ამას, ვ. რ.). წიგნი ზურგს უნდა აქცევდეს ყველა იმას, ვინც მისი ფასის დანახვისას იმუხნება.; „ჩაიარე" — უნდა უთხრას წიგნმა ასეთ მყიდველს. წიგნი საერთოდ უნდა იყოს ამაყი, დამოუკიდებელი და თავისთავადი. ხოლო ამისათვის იგი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ძვირად ღირებული".

ვფიქრობ, ვასილი როზანოვის ზემოთმოყვანილი სიტყვები ჩვენი დროისათვის ფრიად აქტუალურია.

გამომცემლობებმა და სტამბებმა თავიანთი რეზერვების ხარჯზე ერთობლივი მუშაობით მოახერხეს წიგნისათვის ხელმისაწვდომი ფასები შეენარჩუნებინათ, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონები, ცხადია, ხვალვე აისახება ამ სფეროშიც. როდესაც გამომცემლობები 100 ათას მანეთად შეიძენენ ტონა ქაღალდს და ასევე შესაბამისად პოლიგრაფიულ მასალებს სტამბები შეიძენენ კატასტროფულად გაზრდილ ფასებში, წიგნის თვითღირებულება მკვეთრად ამაღლდება და ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს მყიდველისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, წიგნის ბეჭდვის საქმე ჩაკვდება.

ხელისუფლება, ცხადია, ამაზე ფიქრობს და ჩვენც, უპირველეს ყოვლისა, გამოსავალს ვხედავთ მოსახლეობის ყოველთვიური შემოსავლის მკვეთრ გაზრდაში. წიგნის შეძენის მსურველს უნდა შეეძლოს წიგნის ყიდვა!

რამაზ კანდელაკი, ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე:

პოლიგრაფია, ისე, როგორც მრეწველობის სხვა დარგები, მძიმე დღეებს განიცდის. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არც უწინ იყო იგი გალაღებული. საბჭოური და განსაკუთრებით ქართული პოლიგრაფია ყოველთვის განიცდიდა მაღალხარისხოვანი, მსოფლიო სტანდარტის შესატყვის მანქანა-დანადგარების ქრონიკულ სიმცირეს.

დღესაც კი, ისეთ დიდ სტამბაში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვის კომბინატია, წიგნის ბლოკს ყდაში ხელით სვამენ. რატომ? იმიტომ, რომ არ გვქონია და არც გვაქვს კონვერტირებული ვალუტა, რათა შევიძინოთ დასავლეთგერმანული საამკინძაო ხაზი. წლების განმავლობაში ვერადავერ შევიძინეთ ფერდამყოფი დანადგარი და ჩვენი სტამბები სლაიდებს ფერებად მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და კიევში ყოფენ.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ, მთავრობამ კონკრეტულად პოლიგრაფიული მრეწველობისათვის უნდა გამოყოს ვალუტა კომპიუტერების, ფორმის დასამზადებელი მანქანების, საბეჭდი, საამკინძაო და შესაფუთი დანადგარების შესაძენად, უნდა გამოიყოს ვალუტა მაღალხარისხოვანი ქაღალდის, საღებავის, ფირის, ოფსეტური ფორმებისათვის, ვინაიდან საქართველოს მრეწველობა ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს მათ დამზადებას.

ჩემი აზრით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზუგდიდის ქაღალდის კომბინატს, მის უფრო ეფექტიანად გამოყენებას, რათა ძირითადად მან უზრუნველყოს რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ქაღალდით. ამისათვის საჭირო იქნება ამ კომბინატის რეკონსტრუქცია.

საჭიროა მოეწყოს სპეციალიზებული პოლიგრაფიული წარმოება, სადაც დაიბეჭდება დიპლომები, ატესტატები, ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები, შემნახველი სალაროს წიგნაკები, საბანკო ჩეკები და ნებისმიერი დამოუკიდებელი ქვეყნისათვის აუცილებელი სხვა მკაცრი აღრიცხვის ნაბეჭდი პროდუქცია, რომელიც აქამდე რუსეთის სხვადასხვა საწარმოებში იბეჭდებოდა.

აქ იყო ლაპარაკი წიგნის გაძვირებაზე. მეც ვეთანხმები იმ აზრს, რომ წიგნი სხვა პროდუქციასთან შედარებით ყველაზე უფრო იაფია დღეს. თავად განსაჯეთ: პოლიგრაფიული ნედლეული და ქაღალდი გაძვირებულია რამდენიმე ასეულჯერაც კი. მაგალითად, ხაღებავი ღირდა 3.60 მანეთი, დღეს ღირს 880-900 მანეთი, ფოტოფირი შესაბამისად 450 მანეთი-12.500 მანეთი, საბეჭდი ქაღალდი 1.800-2.000 მან. ტონა, დღეს ღირს 75000-90000 მანეთი, ცარცის ქაღალდი ღირდა 2.200 — ღირს 120.000 მანეთი, ელექტროენერგია ღირდა 2 კაპ., დღეს ღირს 10 მანეთი. ასჯერ და მეტჯერ აიწია პოლიგრაფიული მანქანების ფასმაც. აქედან გამომდინარე, წიგნის ფასიც უნდა გაზრდილიყო 50-60-ჯერ, მაგრამ გაიზარდა მხოლოდ 10-15-ჯერ.

პრივატიზება ჩვენს ქვეყანაში ძლიერ გაჭიანურდა. ბევრს, როგორც მთავრობაში, ისე პარლამენტში, კერძო საკუთრების დანერგვა არ უნდა, მათ შორის არც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინმა და სტალინმა ერთი ხელის დაკვრით მოახდინეს ფაბრიკა-ქარხნებისა და მიწის ნაციონალიზაცია. ასევე ერთი ხელის დაკვრით უნდა მოხდეს მათი განკერძოება. და არ არის საჭირო ამისათვის სამინისტროებისა და სხვა მისთანების შექმნა. სახელმწიფომ პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს პრივატიზებას, ბანკებმა გრძელვადიანი სესხები უნდა მისცენ კერძო მეწარმეობის მსურველებს. 3-5 წელიწადი არავითარი გადასახადი არ უნდა დაუწესდეს კერძო მესაკუთრეს, არ უნდა ჩავახშოთ მისი ინიციატივა; პირიქით, გვერდში უნდა ამოუდგეს ხელისუფლება.

ჯანსუღ ღვინჯილია, გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი:

ხელისუფლების ზრუნვას, ჩემი აზრით, ქართული კულტურის მოღვაწეებმა უნდა უპასუხონ დიდი შრომით, რადგან, როგორი დონის ფინანსური და მორალური დახმარებაც არ უნდა აღმოგვიჩინოს ხელისუფლებამ, შედეგი მაინც უმნიშვნელო იქნება, თუკი ჩვენის მხრივ თავგამოდებით არ ვიბრძოლებთ კულტურის გადასარჩენად. რა მაქვს მხედველობაში. — ჩვენს მწერლებს, მეცნიერებს, ხელოვნების მოღვაწეებს მართებთ ამ ზრუნვის პასუხად და პარალელურად ყველაფერი აკეთონ ლიტერატურული და მეცნიერული, შემოქმედებითი ატმოსფეროს ასაღორძინებლად — სწორედ ომის პირობებში! ჩვენ კი მოწმენი ვართ სრული მდუმარების. გამოდის წიგნები და ამ წიგნებზე ჩვენ არ ვმსჯელობთ არც ტელევიზიის ეკრანებიდან, არც რადიოს ტრიბუნიდან, არც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. არ იმართება დისკუსიები, განხილვები შემოქმედებით კავშირებში, უნივერსიტეტებში, დარბაზებში...

ორიოდე გამონაკლისის გარდა ვერ ნახავთ თანამედროვე დონის რეკლამას გამოცემული წიგნის შესახებ. არადა, თანამედროვე მსოფლიო — რეკლამაა. წიგნს ჭირდება მეცნიერული რეკლამა, სისტემატური, თანმიმდევრული, ყოვლისმომცველი, თვალშისაცემი! ყველგან მიმწვდომი რეკლამა, რათა მყიდველს მძვავგნოთ, დავამყაროთ მასთან დღევანდელი მსოფლიოსათვის ნაცნობი მჭიდრო კონტაქტი. საჭიროა ცივილიზებულ ქვეყნებში გავრცელებული ფორმების მომარჯვება. ჩვენში არ იმართება წიგნის პრეზენტაციები, ავტორთა მონაწილეობით წიგნის გამოტანა-გაყიდვა! სხვაგვარად როგორ გავაღვივებთ მკითხველთა ფართო მასებში ეკონომიკური სივიწროვითა და პოლიტიკური აპათიის შედეგად მიძინებულ მოთხოვნილებას? და თუკი ეს მოთხოვნილება ვერ გავაღვივეთ, ვინ იყიდის ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნებს. **ერი მოწყდა წიგნს! ეს ფაქტია. ერი უნდა დავუბრუნოთ წიგნს!**

ვფიქრობ, უნდა გაჩაღდეს დიდი მოძრაობა წიგნისაკენ მკითხველის შემოსაბრუნებლად. ცდება ყველა, ვინც ფიქრობს, რომ ეს მოხდება თავისთავად, მშვიდობის დამყარებისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შემდეგ. კი, ბატონო, მაგრამ ამას ხომ ათეული წლები დასჭირდება! ხოლო თუ გვინდა ახლავე, ომის პირობებში გადავარჩინოთ და ვასუნთქოთ ქართული წიგნი, დღესვე უნდა შევაგებოთ კარგად მოფიქრებული ღონისძიებების სტრუქტურა სახელმწიფოსაგან გამოწვდილ დახმარების ხელს, ეს ჩვენი ვალია!

„საქართველო" რესპუბლიკის პირველი სახელმწიფო გამომცემლობაა, რომლის ბაზაზეც სხვადასხვა დროს შეიქმნა დარგობრივი გამომცემლობები. ამჟამად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, ქაღალდის, სათანადო მასალების, სასტამბო ხარჯებისა და ტრანსპორტის კატასტროფულად გაძვირების შედეგად, გამომცემლობა უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდა. დარგობრივ გამომცემლობებს მიეცა ოფიციალური და არაოფიციალური დახმარება და შეღავათები. „საქართველო" კი პირისპირ დარჩა საბაზრო ეკონომიკის მკაცრი და დაუნდობელი კანონების წინაშე და მის არსებობას საფრთხე ემუქრება.

სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ, ორი წლის წინათ, პენსიონერების ხარჯზე შტატები ორასი ერთეულიდან ასსამოცამდე შემცირდა. ამჟამად 160 თანამშრომელი სამჯერ აღემატება საჭირო შტატების რაოდენობას. იძულებული ვხდებით ნაწილობრივ კვლავ შევამციროთ თანამშრომელთა რიცხვი, მაგრამ ამით საერთო მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება. რესპუბლიკას სჭირდება ყველა დარგის ლიტერატურა მნიშვნელოვნად შემცირებული რაოდენობით მაინც. სამსახურიდან დათხოვნა კი ერთის მხრივ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აყენებს თანამშრომლებს, ხოლო მეორეს მხრივ ამცირებს საგამომცემლო საქმის პროფესიონალ სპეციალისტთა რიცხვს. ამიტომ საჭიროა, რომ ძირითადი ბირთვი მაინც გადარჩეს და გამომცემლობამ თავისი წვლილი შეიტანოს ქართული კულტურის გადარჩენის საშვილიშვილო საქმეში.

აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფომ დროებით გამოუყოს დოტაცია გამომცემლობას (ოცი წლის წინათ გამომცემლობა დოტაციაზე იმყოფებოდა და შემდეგ თანდათან გახდა მომგებიანი, რვა წლის წინათ კი იგი სახელმწიფოს ყოველწლიურად მილიონ მანეთ მოგებას აძლევდა). საჭიროა აგრეთვე „საქართველოს" შეუმცირდეს სახელმწიფო დაბეგვრის პროცენტები და მთლიანად მოეხსნას 14 პროცენტიანი გადასახადი ისევე, როგორც რამდენიმე დარგობრივ გამომცემლობას.

წინააღმდეგ შემთხვევაში გამომცემლობა იძულებული იქნება უარი განაცხადოს თავის ვალდებულებაზე ხელისმომწერთა წინაშე და შეწყვიტოს მეტად მნიშვნელოვანი და პოპულარული გამოცემები: მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ქართული პროზის ოცდაათტომეული, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულები ოც ტომად, მინიატურული „ვეფხისტყაოსანი", „დავითიანის" ავტოგრაფიული გამოცემა, „ათას ერთი ღამის" რვატომეული, პ. ინგოროყვას შვიდტომეული, საქართველოს წითელი წიგნი, თერაპიული ცნობარი, კალენდრები, ქართული ფილოსოფიური ლექსიკონი, ო. ლორთქიფანიძის „ქართული ცივილიზაციის სათავეებთან", ზ. შენგელაიას „საქართველოს სამკურნალო მცენარეები", ვ. დავითაიას — „არქიტექტურა — ოცნება და სინამდვილე"...

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, გვაქვს მცირეოდენი ქაღალდი და წელს მკითხველს მივაწვდით ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულის III,IV-V ტომებს, გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეულის I და II ტომს, ალექსანდრე ყაზბეგისა და ტიციან ტაბიძის ორტომეულს, ქართული პოეზიის შედევრების დიდ წიგნს, აგრეთვე თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. გამოვცემთ რამდენიმე უცხოელი მწერლის წიგნსა და დარგობრივი ლიტერატურის უაღრესად საჭირო ნიმუშებს.

ედუარდ სიხარულიძე, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი:

როგორც ითქვა, ბოლო ხანს მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროსთან ერთად წიგნის გამოცემაც მძიმე პირობებში ჩააყენა. ახლა ჩვენ, ყველამ, ვინც ქართულ წიგნს ვემსახურებით, სწორად და შეუმცდარად უნდა მოვნახოთ ის გზები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოვახერხოთ მდგომარეობიდან გამოსვლა. კარგად გვესმის, რომ დღეს სახელმწიფოსაც ძალიან უჭირს, დახმარებისათვის ყველა მას არ უნდა მივადგეთ, მაგრამ ნუთუ ასე ძნელია რესპუბლიკაში არსებული ორიოდე სახელმწიფო გამომცემლობის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, რომლებიც თავის შესანახად წელიწადში რამდენიმე წიგნის გამოცემას თუ ახერხებენ? ეს საკითხი მრავალჯერ წამოვჭერით შესაბამისი ინსტანციების წინაშე, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

საგამომცემლო საქმეში უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომელთა ჩამოთვლა საგაზეთო წერილში შეუძლებელია. კონკრეტულად რით დავიწყოთ? ალბათ უნდა შემუშავდეს და სამთავრობო დონეზე დამტკიცდეს დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრების საერთო პრინციპებს მისადაგებული დებულება რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის შესახებ, რომელშიც განისაზღვრება წიგნის გამოცემასთან და გავრცელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებული უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელმა და ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი. ალბათ, სათანადო კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ვის და რისი გამოცემის უფლება აქვს, განსაკუთრებული სიფრთხილითა და დაკვირვებით უნდა მოვეკიდოთ საგამომცემლო საქმის პრივატიზებას, ქართული წიგნის გამოცემის ეროვნულ საქმეში, წინასწარი პროგნოზირების გარეშე, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წესებისა და მეთოდების შემოღებამ, რაც მომავალში ალბათ გარდუვალი იქნება, დღეს სახელმწიფო გამომცემლობათა არსებობა შეიძლება რეალური საფრთხის წინაშე დააყენოს. ამასთან დაკავშირებით უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ მრავალი სპეციფიკური საკითხის გონივრულად გადაწყვეტა — ჩვენი ეროვნული ტრადიციები, ის, რომ ისტორიულად წიგნი ქართველი კაცის სულიერი წყობის, ფსიქიკისა და პოეტური ბუნების განუყოფელ ნაწილად იქცა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საზოგადოებრიობას მოვახსენო, რომ მიუხედავად უკანასკნელ ხანს შექმნილი უმძიმესი ფინანსური მდგომარეობისა, გამომცემლობა „ხელოვნების" კოლექტივი არ აჰყვა ცდუნებას, რათა მდარე ხარისხის ლიტერატურის გამოცემით შეენარჩუნებინა არსებობა, არ უღალატა ტრადიციას, მკითხველს, რომელსაც ახლახან მივაწოდეთ ხელოვნების ლექსიკონის ექვსტომეულისა და ქართული დრამატურგიის პირველი ტომები, ინგმარ ბერგმანის კინომოთხრობები, ალბომი საქართველოს ეთნოგრაფიაზე, ლ. მენაბდის „ძველი ქართული კულტურის კერები", ქართულ და ევროპულ ენებზე დასაბეჭდად მოვამზადეთ „ქართული ჭედური და ფერწერული ხატები", „მე-17-მე-18 საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა", „ქართული კულტურის ძეგლები" და ბევრი სხვა.

იურამ ჭეიშვილიძე, გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი:

ერის ისტორია, მარტივად რომ ვთქვათ, წიგნია.

უძველესი ცივილიზაციის ქვეყნები კაცობრიობას მათ მიერვე დაწერილი წიგნებით შემორჩნენ, — ვინც წიგნს წერდა, გვახსოვს, ვინც არა — უკვალოდ გაქრა.

„ნაკადულის" პატარა მკითხველის ასაკი მისი გაცნობიერებიდანვე იწყება. დღეს ყოველი დედა, მამა, ბაბუა, ბებია დავეძებთ ფერად, ილუსტრირებულ გასართობ (რა თქმა უნდა, არა მხოლოდ გასართობ) წიგნებს, რომელთაც, წერა-კითხვის სწავლამდე, როგორც წესი, ვუკითხავთ შვილებსა და შვილიშვილებს, მერე კი ერთ ხანს თვითონვე კითხულობენ. ერთ ხანს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ამ პატარა ფერადი ილუსტრირებული წიგნების მკითხველს თავისი ბუნებრივი მტკიცედ განსაზღვრული ასაკი აქვს, და იცით რამდენი? — ხუთი-ექვსი წელი, საბავშვო ბაღებიდან მეოთხე კლასამდე. ამ პერიოდში თუ მათ ეს წიგნები არ წავაკითხეთ, შეიძლება, მერე არც თავისი დიდი ისტორიის წაკითხვის მოთხოვნილება ექნეთ, მერე და მერე დედა ან მამა გახდება და, ბუნებრივია, არც თავის შვილს წაუკითხავს ფერად-ფერად, ვითომდა გასართობ წიგნებს და ასე შემდეგ. და, როგორც ზემოთა ვთქვი, შესაძლებელია აღარც ჩვენ წინაპარს ვემგვანებით: აღარ ვიქნებით ისეთები, როგორიც ვიყავით, და ასეთები, როგორიც ჯერ კიდევ ვართ.

ეს ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ლოგიკურად ასეა. ლოგიკას კი თავისი შეუვალი კანონები აქვს.

დღეს, „ნაკადულის" მკითხველებს წიგნები არა აქვთ... არ გამიწყრებიან ჩემი უფროსი კოლეგები (უფროსი გამომცემლობების დირექტორები მყავს მხედველობაში), მოზარდ და ჭაბუკ მკითხველს დიდი არჩევანი აქვს: როგორც არ უნდა გაუჭირდეთ დიდ გამომცემლობებს წიგნის გამოცემა, ერთი ათი წელი მაინც სულაც არაფერი რომ არ გამოსცენ, მათ მკითხველებს, თამამად ვიტყვი, მაინცდამაინც არა დააკლდებათ რა — ადრე გამოცემული ისე მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურა ამშვენებს მათ საოჯახო ბიბლიოთეკის თაროებს. ამ თაროებზე კი ვერც ერთ საბავშვო ფერად წიგნს ვერ შეხვდებით, რადგან მას, როგორც წესი, თაროებზე არ ინახავენ, იგი ბავშვის ხელში რჩება და, რა თქმა უნდა, იხევა... ასე რომ, დღეს ჩვენი პატარა მკითხველი თითქმის უწიგნოდაა.

„ნაკადულის" გადასარჩენად აუცილებელია, როგორც საბავშვო გამომცემლობის მიმართ, ხორციელდებოდეს სახელმწიფოებრივი საგანგებო ზრუნვა, — თუ გნებავთ — პოლიტიკა, როგორც ამას აკეთებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები.

ჩვენს რესპუბლიკას ამდენი საშუალება არა აქვს, მაგრამ თვით ის ამბავი, რომ უკვე არსებობს კულტურის ხსნის კომიტეტი, რომელსაც თვით სახელმწიფოს მეთაური უდგას სათავეში, იმედის მომცემია. მით უმეტეს, ამ კომიტეტმა უკვე გადადგა პირველი სასიცოცხლო ნაბიჯები ჩვენი კულტურის გარკვეულ სფეროებში.

ისე ნურავინ გაგვიგებს, რომ ჩვენ, გამომცემლობის მუშაკები, გულხელდაკრეფილი ვიჯდეთ და არაფერს ვცდილობდეთ ჩვენის მხრივად. ჩვენც და ჩვენმა დეპარტამენტმაც, რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, გარკვეულწილად დაგვეხმარა ფინანსთა სამინისტროც, მაგრამ დახმარება დახმარებაა, ჩვენი გადარჩენა კი მხოლოდ კულტურის ხსნის კომიტეტს შეუძლია.

„ნაკადული", თუნდაც დროებით, ორი-სამი წლით მაინც უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან.

უნდა გამოინახოს საშუალება, ნაწილობრივ მაინც სახელმწიფო ხარჯებით დაიფაროს ქაღალდის, სტამბებისა და პოლიგრაფიული მასალების გაძვირებული ხარჯები, რათა „ნაკადულის" მიერ გამოცემული წიგნის გასაყიდი ფასი შედარებით იაფი ღირდეს და ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ერთი სიტყვით, ან სახელმწიფო მომარაგების წესით უნდა ვიმუშაოთ, ან ფინანსურად დაგვეხმარონ. გამომცემლობის მიერ ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტისადმი წარდგენილ გაანგარიშებაში მოთხოვნილი გვაქვს სუბსიდია 25 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც დეპარტამენტმა წარუდგინა კიდეც ფინანსთა სამინისტროს სათანადო საფინანსო და საგამომცემლო გეგმებით.

ამ თანხაში გათვალისწინებულია წინათ წარმოებაში ჩაშვებული და დღესდღეობით დაუმთავრებელი და ხარჯგაწეული წიგნები, რომლებიც კონიუნქტურული თუ იდეოლოგიური თვალსაზრისით მოძველებულია და უნდა ჩამოიწეროს, ასევე — საავტორო ჰონორარი, რომელიც დღეს ისევ ძველ დონეზეა და, რა თქმა უნდა, გასაზრდელია.

„ნაკადული" სასწრაფო დახმარებას თხოულობს. მოუთმენლად ველით ჩვენს რიგს კულტურის ხსნის კომიტეტის მხრიდან, რომელიც დროულად, ეროვნული სხეულის ფიზიკური და სულიერი მთლიანობისა და ერთიანობისათვის შეიქმნა.

ჯუმბერ ხაჭაპურიძე, ქ. თბილისის წიგნის ფაბრიკის დირექტორი:

თბილისის წიგნის ფაბრიკა ერთ-ერთი მსხვილი პოლიგრაფიული საწარმოა რესპუბლიკაში. იგი აღჭურვილია როგორც სამამულო, ასევე უცხოური დანადგარებითა და ტექნოლოგიით.

ამჟამად ჩვენი საწარმოს დიდი უბედურება გახლავთ ის, რომ ზემოთ აღნიშნული მანქანა-დანადგარები როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად ცვდება და ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ მისი ახლით შეცვლის შესაძლებლობას.

ჩვენი საწარმოსა და საერთოდ საქართველოს პოლიგრაფიის მეორე დიდი უბედურება გახლავთ ის, რომ რესპუბლიკაში არ მზადდება პოლიგრაფიისათვის საჭირო არცერთი დასამზადებელი მასალა და მისი შემოტანა ძირითადად რუსეთიდან გვეზიდებოდა. ვინაიდან ამჟამად რუსეთთან საბანკო კავშირურთიერთობა შეწყვეტილია, მასალების შემოტანაც შეწყდა, რის გამოც პოლიგრაფიული საწარმოები ან მთლიანად დგანან, ან კიდევ ადრე შემოტანილი მასალების ნაშთის ხარჯზე ნაწილობრივ მუშაობენ და თუ რუსეთთან საბანკო ურთიერთობა არ აღდგა, ჩვენი რესპუბლიკის ყველა სტამბას უახლოეს თვეებში სრული გაჩერება ელოდება.

ერთ-ერთ უბედურებად მიგვაჩნია ჩვენი პოლიგრაფიის მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის შემცირება, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობას აქვს ძალიან დაბალი ხელფასი და წიგნისათვის თანხა არ რჩება მიუხედავად იმისა, რომ წიგნის გასაყიდი ფასი სხვა პროდუქციებთან შედარებით ძალზე დაბალია — ინფლაციის ინტენსიური დაწყებიდან იგი მხოლოდ 12-15-ჯერ გაიზარდა მაშინ, როცა ისეთი პოლიგრაფიული მასალები, როგორიცაა ქაღალდი, მუყაო, ლიდერინი, მარლა, ემულსია, ძვლის წებო, საბეჭდი ფორმები და სხვა, 250-700-ჯერ გაძვირდა და თუ დღეს წიგნი როგორღაც კეთდება და იყიდება 50-100 მანეთად, ეს ხდება მხოლოდ ადრე იაფად შეძენილი მასალების წყალობით, მომავალში კი, როცა წიგნი მთლიანად გაძვირებული მასალებით დამზადდება, მისი თვითღირებულება ბევრჯერ გადააჭარბებს გასაყიდ ღირებულებას, რაც შესაბამისად საწარმოთა ზარალიან მუშაობას გამოიწვევს.

პოლიგრაფიაში ასეთი მძიმე სურათის დახატვის შემდეგ ალბათ იკითხავთ, თუ რაში ვხედავ გამოსავალს. უპირველეს ყოვლისა, ჩემი აზრით, რესპუბლიკაში ერთმანეთს უნდა შეესატყვისებოდეს ფასები და ხელფასები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ამ სიმბოლური ხელფასით წიგნს ვერ შევიძენთ.

მეორე გამოსავალს ვხედავ რუსეთთან და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების აღდგენაში. წიგნის გამოცემის გადარჩენისათვის მთავრობა უნდა დაეხმაროს პოლიგრაფიას და გამომცემლობებს გრძელვადიანი სესხებით, ვალუტის გამოყოფით და გადასახადების შემცირებით, ან მისგან საერთოდ განთავისუფლებით.

ვფიქრობ, პოლიგრაფიის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება იქნებოდა პრივატიზება, მაგრამ აქვე დავძენ, რომ არსებული კანონების მიხედვით ძალიან გაძნელდება ეს პროცესი და შეიძლება სრულებითაც არ შესდგეს, ვინაიდან ყოველნაირად შეზღუდულია მყიდველის, როგორც მესაკუთრის ინტერესები.

ასევე ყოვლად გაუგებარია, ამ გაღატაკებულ ქვეყანაში როგორ უნდა გადაიხადონ პრივატიზების თანხა ჩვენმა მოქალაქეებმა და ისიც დროის ისეთ მოკლე მონაკვეთში, როგორიც კანონითაა გათვალისწინებული, მაშინ, როცა სახელმწიფო არავითარ კრედიტს არ გვპირდება.

ალბათ მთავრობა გაითვალისწინებს შრომითი კოლექტივების შენიშვნებს და კანონს გახდის ხალხისათვის ხელმისაწვდომს, რაც რასაკვირველია ხელს შეუწყობს წარმოებათა განსახელმწიფოებას და შესაბამისად შექმნის პირობებს პროდუქციის გაუმჯობესებისათვის.

გურამ მღებრიშვილი, ქ. თბილისის № 4 სტამბის დირექტორი:

რესპუბლიკაში ფინანსური საქმიანობის სწორი ორგანიზაციის საქმეში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორების მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის ბეჭდვას. რესპუბლიკისათვის ამ სახის პროდუქცია იბეჭდება მხოლოდ ქ. თბილისის № 4 სტამბაში და ნაწილობრივ ლატარიისა და სპრინტის ბილეთები მოსკოვისა და კიევის სპეციალიზებულ სტამბაში. მას შემდეგ, რაც მოიშალა კავშირები ამ ქალაქებთან, ისინიც № 4 სტამბაში იბეჭდება.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და უკონტროლობით ისარგებლა ზოგიერთმა ფირმამ და კოოპერატივმა და ხელი მიჰყო მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის, მათ შორის აქციების და სპრინტის ბილეთების ბეჭდვას ყოველგვარი ნუმერაციის გარეშე, რამაც შეიძლება გამოუსწორებელ შედეგამდე მიიყვანოს ეს საქმე. ამის მაგალითია თბილისელებისათვის პურის საყიდელი „სავიზიტო ბარათების" გამოშვება ნუმერაციის გარეშე, მეტროს ბილეთების ერთი პარტიის ნუმერაციის გარეშე დაბეჭდვა. სამწუხაროდ, ზოგიერთმა სოლიდურმა ფირმამ და ბანკმა დიდი თანხის აქციები და სერტიფიკატები კოოპერატივებისა და კერძო ფირმების მეშვეობით დაბეჭდა. შეგვეძლავებიან, მორჩა მონოპოლია, ახლა ყველას ყველაფრის უფლება აქვს, მაგრამ განა შეიძლება სახელმწიფოში მილიონობით მანეთის ფულადი ნიშნის შემცვლელი დოკუმენტი დაიბეჭდოს უნომროდ და კონტროლის გარეშე?

ახლო მომავალში კიდევ ერთი პრობლემის წინაშე დავდგებით. საჭირო გახდება დაბადების, გარდაცვალების მოწმობების, საშუალო და ტექნიკური სასწავლებლების ატესტატების, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომების, შეცვლილი სამხედრო ბილეთების და სხვა დოკუმენტების ბეჭდვა, რომლებიც სტამბური წესით უნდა დაინომროს. რა რაოდენობით იქნება საჭირო ასეთი სახის პროდუქცია რესპუბლიკისათვის? ამაზე ახლა არავინ ფიქრობს.

თბილისის № 4 სტამბაში არსებული პოლიგრაფიული მანქანები, რომლებზეც ნუმერაციით იბეჭდება აღნიშნული პროდუქცია, ვერ აუვა დატვირთვას.

არა მარტო № 4 სტამბაში, არამედ რესპუბლიკაში პოლიგრაფიულ მრეწველობაში დღემდე არა გვაქვს თანამედროვე ტექნიკა, რომელზეც შეიძლება ფასიანი ქაღალდების დიდი ტირაჟით ბეჭდვა, ამისათვის არც სათანადო ქაღალდი და სხვა პოლიგრაფიული მასალები მოგვეპოვება. ვინ უნდა იზრუნოს ამაზე. სტამბამ? ბეჭდვითი სიტყვის კორპორაციამ? არც ერთს და არც მეორეს, მას შემდეგ რაც მოიშალა ცენტრალიზებული დაფინანსება, სახსრები არ გააჩნია, მით უმეტეს ამგვარი მანქანებისა და პოლიგრაფიული მასალების შეძენა მხოლოდ კონვერტირებად ვალუტაზე შეიძლება.

დრო კი არ ითმენს. ამაზე აქამდე უნდა გვეზრუნა. თუ ეს პრობლემა მოკლე ხანში სამთავრობო დონეზე არ გადაწყდა, ჩიხში მოექცევა როგორც პრივატიზაცია, ასევე მეურნეობის ბევრი სხვა დარგი.

ამიტომ რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის ობიექტების პრივატიზაცია არ უნდა დაჩქარდეს, ვინაიდან ამორტიზებული ტექნიკის გამო მოსალოდნელია ზოგიერთი ობიექტის გაჩერება, ხოლო პრივატიზებული სტამბების შენობების სხვა დანიშნულებით გამოყენება.

დროებით სახელმწიფო სტრუქტურებში თუ არ დარჩება, ცალკე უნდა შეიქმნას ერთიანი პოლიგრაფიული სისტემა თავისი მომარაგების ბაზით. პარალელურად უნდა ვიზრუნოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ამ დარგში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება რესპუბლიკაში მძლავრი პოლიგრაფიული მრეწველობის შექმნა.

• • •

ზრუნვის საგანია ქართული წიგნის ხვალინდელი დღე.

სურათზე: პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა საქმის სახელმწიფო კორპორაციის თავმჯდომარე **ვიქტორ რცხილაძე**, გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი **ჯანსუღ ღვინჯილია** (მარცხნიდან), გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი **ედუარდ სიხარულიძე**, თავმჯდომარის მოადგილეები **რევაზ ღლონტი** და **ზურა გომართელი**, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორი **ირაკლი ანჯაფარიძე**.

ვარლამ გენიშვრის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთებიდან

რეზონანსი

8. 04. 93 წ.

გამსახურდიას ბრძანებით გროზნოში „დააპატიმრეს" საქართველოს დელეგაცია

5-6 აპრილს გროზნოში, ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევით იმყოფებოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობდა საქართველოს პარლამენტის კოლეგიის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე. დელეგაციაში იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, ედპ-ს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კობახიძე და სხვა პარტიული ხელმძღვანელები, დელეგაციას ახლდა ჟურნალისტების დიდი ჯგუფი.

გროზნოს აეროპორტ „ხანკალა"-ში დელეგაციას დახვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, სამინისტროს თანამშრომლები და პრეზიდენტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

დელეგაცია მიიღო ჩეჩნეთის სახელმწიფო მდივანმა ასლანბეგ აკბულატოვმა. სახელმწიფო მდივანი მიესალმა დელეგაციის წევრებს და გამოხატა თავისი თბილი დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ. მან გამოკვეთილი ფორმით აღნიშნა, რომ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა გადის საქართველოზე და ჩეჩნეთი ყოველთვის იქნება მომხრე იმისა, რომ საქართველო იყოს დამოუკიდებელი და მძლავრი სახელმწიფო კავკასიაში, რომ ჩეჩენთა მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტში არის გაუგებრობის შედეგი და ჩეჩნეთის მთავრობა მთლიანად იზიარებს საქართველოს მთავრობის პოზიციას აფხაზეთთან დაკავშირებით. თავის მხრივ, გიორგაძემ და კობახიძემ გამოთქვეს სურვილი უფრო ინტენსიური გახდეს ურთიერთობა ორ მეზობელ ხალხს შორის, რათა ყოველგვარი გაუგებრობა გამოირიცხოს.

სადილის შემდეგ დელეგაცია მიიღო ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შამსუდინ იუსეფმა. მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოს წამყვან როლს კავკასიაში, აღნიშნა, რომ საქართველოს ფაქტორის გაუთვალისწინებლად ვერ იარსებებს ჩეჩნეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და გამოთქვა საქართველოსთან უმჭიდროესი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარების სურვილი. მინისტრმა დიდი როლი დაუთმო ეკონომიკურ საკითხებს, კერძოდ, ჩეჩნეთიდან საქართველოს გავლით ნავთობსადენის გაყვანას და ასევე ჩეჩნეთიდან საქართველოში პირდაპირი სამანქანო გზის გაყვანას. ამით მინისტრის აზრით, დიდად მოიგებს როგორც ჩეჩნეთი, ასევე საქართველო და ორი მოძმე ერი უფრო დაახლოვდება. ამ შეხვედრით ამოიწურა პირველი დღის ოფიციალური ნაწილი.

მეორე დღეს პარლამენტის შენობაში ედპ-ს დელეგაცია შეხვდა ჩეჩნეთის ინტელიგენციას, ჩეჩნეთის პარლამენტის საგარეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და კავკასიის ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენლებს. გაიმართა პრესკონფერენცია ჩეჩნეთის ტელევიზიისათვის, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს დელეგაციის პოზიცია აფხაზეთთან მიმართებით და ჩეჩნეთ-საქართველოს მომავალი კონტაქტების თაობაზე.

სადილის შემდეგ, როდესაც დელეგაციის წევრები ისვენებდნენ მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში, შემოიჭრა ოთხი პიროვნება, ერთ-ერთი, რომელმაც საზოგადოებას თავი გააცნო სოსო თორიაძე, გამოდგა ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი. იგი მივიდა გიორგაძესთან და განუცხადა: „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით მამუკა გიორგაძე დაპატიმრებულია, რადგან იგი არის ქართველი ხალხის, ჩეჩენი ხალხისა და მთელი კავკასიის მტერი. ხოლო მისი ჩამოსვლა გროზნოში არის პროვოკაციული და მიზნად ისახავს ტერორისტული აქტის მომზადებას საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის მიმართ". თორიას აუხსნეს, რომ ედპ-ს დელეგაცია სტუმრად იმყოფებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით და არავითარი საერთო არა აქვს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან. შემდეგ კონფლიქტში ჩაერიენ ჩეჩენი ზვიადისტები და რომ არა საქართველოდან ჩასული ქისტის ჯაბრაილ ხანგოშვილის და პირადად ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩარევა, შესაძლოა, ინციდენტი ცემა-ტყეპით დამთავრებულიყო.

ქართველი ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რატომ გააკეთა ასეთი ჟესტი გამსახურდიას დაცვის უფროსმა, თორიამ განაცხადა, რომ ეს არის პროტესტის ერთგვარი ფორმა და ტერორისტებს ადგილი არა აქვთ ჩეჩნეთში: მან თქვა, რომ „აუცილებელია პროტესტის გამოხატვა პუტჩისტებისა და კრემლის აგენტების მიმართ".

ამ ინციდენტის შემდეგ ქართველი და ჩეჩენი ზვიადისტები ყოველნაირად შეეცადნენ, რომ საქართველოს დელეგაცია არ შეხვედროდა ჩეჩნეთის პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევს, მაგრამ დუდაევმა დელეგაციის წევრები 6 აპრილს ღამის 12 საათზე მიიღო და ოთხსაათიანი საუბარი ჰქონდა მათთან. გიორგაძე და კობახიძე ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ პრეზიდენტ დუდაევთან შეხვედრით და აღნიშნეს, რომ საქართველოს ჩეჩნეთის სახით კეთილი მეზობელი და ყოველგვარი გაჭირვების დროს გვერდში ამომდგომი მეგობარი ეყოლება.

კახა შენგელია
გროზნოდან.

დაკავებულია თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეზე — ჯაბა იოსელიანზე თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე

საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის პრესცენტრის ცნობით, ამ სამსახურის თანამშრომლებმა 6 აპრილს ბაქოში, აზერბაიჯანის სახ. უშიშროების სამსახურის მუშაკებთან ერთობლივი მოქმედების შედეგად დააკავეს საქართველოს ყოფილი უმაღლესი საბჭოს წევრი ვიქტორ დომუხოვსკი.

დომუხოვსკის ბრალად ედება საქართველოს მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეზე, ჯაბა იოსელიანზე თავდასხმაში თანამონაწილეობა. 1992 წლის 13 ივნისს შეეცადნენ აფეთქებინათ ავტომანქანა, რომლითაც მგზავრობდა იოსელიანი, მაგრამ მანქანა 5-ოდე წუთით ადრე გასცდა აფეთქების ადგილს. აფეთქებამ იმსხვერპლა 5 მშვიდობიანი მოქალაქე.

თქვენ გინდათ, რომ მოკვდეთ დიდ საქართველოსთვის,
თქვენ მართლა დიდ ამბავს, დიდ საქმეს შემოსწვდით,
მე ისე მომწონხართ და ისე მიყვარხართ,
მე მინდა იცოცხლოთ დიდ საქართველოსთვის!

ერო — ამაყო და უშიშარო,
ერო — წმინდანო და შემოქმედო,
იყავ უდრტვინველი, თუნდ გიშარონ,
თუნდაც ავი თვალით შემოგხედონ!

შოთა ნიშნიანიძე.

გზა დაულოცეს

ახლახან ცნობილი ქართველი მწერლები ჭაბუა ამირეჯიბი, თამაზ წივწივაძე, ლევან სანიკიძე და რევაზ მიშველაძე ეწვივნენ დიდუბის რაიონის სამხედრო კომისარიატს და შეხვდნენ წვევამდელებს, ქართული ეროვნული არმიის საიმედო ცვლას.

შეხვედრა გახსნა დიდუბის რაიონის სამხედრო კომისარმა თამაზ ხუროძემ. მწერლებმა აღნიშნეს, რომ მშობლიური მიწის ყოველი მტკაველისათვის ბრძოლა ლამის ქართველთა ცხოვრების წესად იქცა, რომ საქართველოს არმია ამჯერად იბრძვის რუსის ჯარს და სწორედ ამიტომაა ეს ომი საყოველთაო და უთანასწორო. სტუმრებმა თავიანთი მამულიშვილური ვალი შეახსენეს წვევამდელებს და გზა დაულოცეს, გამარჯვებით, ჯანმრთელად დაბრუნება უსურვეს.

დასასრულ დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილემ ვაჟა მშვილდაძემ და წვევამდელმა ლადო ვარდოსანიძემ მადლობა მოახსენეს ქართველ მწერლებს გამხნევებისა და გზის დალოცვისათვის.

კასპაროვს ჩემპიონობა ჩამოართვეს?!

დღეს ჭადრაკის რიგითი გულშემატკივარიც ხედავს, თუ როგორ დაიძაბა ურთიერთობა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვსა და ფიდე-ს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესს შორის.

მაინც რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს კონფლიქტი? მოგახსენებთ მხოლოდ ფაქტებს.

თებერვლის დამლევს ფიდე-ს ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მსოფლიო პირველობის მატჩი გარი კასპაროვსა და ინგლისელ ნაიჯელ შორტს შორის გაიმართება შემოდგომაზე ქალაქ მანჩესტერში (ინგლისი). გავიდა რამდენიმე დღე. და ყველასათვის მოულოდნელად კასპაროვმა და შორტმა გააკეთეს განცხადება, რომ ისინი არ აპირებენ თამაშს მანჩესტერში, რადგან ფიდე-ს პრეზიდენტმა მათთან შეუთანხმებლად, თვითნებურად დანიშნა თამაში ამ ქალაქში, და საერთოდ, უარს ამბობენ ითამაშონ მატჩი ფიდე-ს ეგიდით. მერე პრესაში გამოქვეყნდა ინგლისელ დიდოსტატ რაიმონდ კინის წერილი, რომელმაც ნათელი მოჰფინა პროტესტს. იგი წერდა, რომ დაწყებული 1975 წლიდან, კამპომანესი დესტრუქციულ პოლიტიკას ატარებდა, ამწვავებდა ურთიერთობას მოჭადრაკეთა შორის (მხედველობაში ჰქონდა 1984-1985 წლის კარპოვ-კასპაროვის მატჩის ჩაშლაც) და ამიტომ კასპაროვი იბრძვის კამპომანესის დიქტატურის წინააღმდეგ, რაშიც მას მხარს უჭერს ნაიჯელ შორტიც. კასპაროვს გადაწყვეტილი აქვს შექმნას პროფესიონალ მოჭადრაკეთა ახალი ასოციაცია, რომელიც თავად მოაწყობს მსოფლიო პირველობის მატჩებს.

ფიდე-ს პრეზიდენტმა არ დააყოვნა საპასუხო სვლა და თქვა: ფიდე-ს კანონიერი უფლება აქვს გამართოს მსოფლიო პირველობის მატჩები და იგი კანონის ფარგლებში მოაწყობს კიდეც მატჩს... ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს შორის, თუ კასპაროვი და შორტი არ შეცვლიან თავიანთ გადაწყვეტილებას. მაგრამ კამპომანესმა ვერ უარყო მის მიმართ წაყენებული სხვა ბრალდებები.

როგორც ხედავთ, კონფლიქტმა სერიოზული ხასიათი მიიღო. მაგალითად, ინგლისის ერთმა საგამომცემლო ტრესტმა და ჰოლანდიის „ტელეუორლდის" კორპორაციამ იკისრეს მატჩის გამართვა სექტემბერში ლონდონში. საპრიზო ფონდად 2,5 მილიონი დოლარი გამოაცხადეს. ერთმა გენერალმა მეცენატმა, რომელმაც არ ისურვა თავისი გვარის გამხელა, საპრიზოდ 10 მილიონი გერმანული მარკა შესთავაზა.

მაინც რამ აავსო გარი კასპაროვის მოთმინების ფიალა, რასაც დიდი კონფრონტაცია მოჰყვა? ალბათ ერთ-ერთი მიზეზი შემდეგია: შარშან ჭადრაკში ფიშერის დაბრუნებაზე მოლაპარაკების დროს ამერიკელმა დიდოსტატმა ერთ-ერთ პირობად წამოაყენა მისთვის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება. მოულოდნელად კამპომანესმა შეასრულა ეს მოთხოვნა, რამაც თვით ფიშერი გააოცა. ამბობენ, ეს ამბავი რომ შეიტყო, სიხარულისგან ფიშერმა სამი კერძი და დესერტი მიირთვა, მერე ხამანწკას შეკვეთაც მოინდომა. ტიტულის დაბრუნებას მოჰყვა ფიშერ-სპასკის მატჩ-რევანში, რომლის მოგების შემდეგ ფიშერი, როგორც წესი, ჩემპიონის დაფნის გვირგვინით შეამკეს. ასე გაჩნდა მეორე მსოფლიო ჩემპიონი. ახლა, თუ მართლა შედგა კარპოვ-ტიმანის მატჩი, მსოფლიოს მესამე ჩემპიონიც ეყოლება!?

•

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ფიდე-ს პრეზიდენტის საბჭომ გარი კასპაროვსა და ნაიჯელ შორტს ჩამოართვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და პრეტენდენტის უფლებები. „ვაკანტური" მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის სასპარეზოდ მიიწვია კარპოვი და ტიმანი, რომლებმაც უკვე ოფიციალურად აცნობეს ფიდე-ს მატჩში თავიანთი მონაწილეობის სურვილი. ამავე დროს ფიდე-მ 20 აპრილისთვის ბრიუსელში ექსპერტთა კომისიის სხდომაზე მიიწვია „დიდოსტატთა ასოციაციის" ვიცე-პრეზიდენტი, დიდოსტატი ვ. ანანდი (ინდოეთი) და ფიდე-ს „მოთამაშეთა საბჭოს" თავმჯდომარე, დიდოსტატი ი. სეირავანი (აშშ), რათა მათ გამოთქვან თავიანთი აზრი მომხდარის თაობაზე და მონაწილეობა მიიღონ შემდგომში მსოფლიო პირველობის გამართვის საკითხის განხილვაში.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

ქართველ წყალბურთელთა ტრიუმფი

20 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, რომელიც აგვისტოში ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში გაიმართება, აღიარებული გრანდების — იტალიის, ესპანეთის, ხორვატიის, გერმანიის, ავსტრალიისა და სხვათა მხარდამხარ იასპარეზებს საქართველოს გუნდი.

ეს უფლება ქართველმა წყალბურთელებმა მოიპოვეს სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში ამ დღეებში დამთავრებული ევროპის შესარჩევი ჯგუფის თამაშებში მოპოვებული წარმატებით. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები დაკომპლექტებული იყო თბილისის „დინამოს" ბაზაზე და მას ხელმძღვანელობდა დინამოელთა მოთამაშე — მწვრთნელი გელა ტუკვაძე, ხოლო სპონსორი გახლდათ წყალბურთელთა კლუბ „დინამოს" პრეზიდენტი თენგიზ ჩიხლაძე.

აღსანიშნავია, რომ მწვავე კონკურენციის პირობებში ფინალური ეტაპის საგზურის გარეშე დარჩა სპორტის ამ სახეობის ტალანტების ისეთი სამჭედლო, როგორიცაა რუსეთი.

ეროვნული ერთიანობის დღე

— **9 აპრილი** თბილისში არ აღინიშნება პომპეზური და ისტერიული მიტინგებითა და მანიფესტაციებით, — განაცხადა 8 აპრილს საღამოს, საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას, დედაქალაქის მერმა ბატონმა კოტე გაბაშვილმა. — ქალაქის ცხოვრების რიტმი რომ არ დაირღვეს, შევთანხმდით, რომ ეს ზღვარსგადაცილებული ზეიმი კი არ იქნება, არამედ ეროვნული ერთობის, მშვიდობის, ურთიერთთანადგომისა და დაღუპულთა ხსოვნის დღე.

— დილის 11 საათიდან 16 საათამდე, — თქვა შემდეგ მერმა, — ტრანსპორტისათვის გადაიკეტება ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი ფილარმონიის შენობიდან თავისუფლების მოედნამდე, რათა ხალხმა თავისუფლად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ დღისადმი. სხვათა შორის, პოლიტიკურმა პარტიებმაც შეიკავეს თავი მანიფესტაციებისა და მიტინგების გამართვისაგან, — დასძინა მერმა. — ერთი სიტყვით, ხალხი მივა იმ ადგილას, სადაც დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები, მოინახულებს დაღუპულთა საფლავებს, დაესწრება მათი ხსოვნისადმი მიძღვნილ პარაკლისს, და ეს იქნება ნებისმიერი პოლიტიკური მრწამსის მოქალაქეების გულის ძახილი.

რა თქმა უნდა, ექსცესები შეიძლება მოხდეს. ამისგან ხომ არავინ და არასდროს დაზღვეული არ არის. ღრმად მწამს, რომ საღად მოაზროვნე ქართველი კაცი ასეთ დღეს საკუთარ თავს ამის უფლებას არ მისცემს.

— თუკი ვინმე მაინც ფიქრობს ასეთ ექსცესებზე, — ხაზგასმით აღნიშნა ქალაქის მერმა, — მას უნდა ახსოვდეს, რომ ეს იქნება მთელი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება, შეურაცხყოფს ამ თარიღს და ამისათვის საკადრის პასუხსაც გასცემენ.

რეალურია თუ არა ფულის რეფორმა რუსეთში?

როგორც სააგენტო „იბერიასათვის" კომპეტენტური წყაროებიდან გახდა ცნობილი, უტყუარი ინფორმაციის თანახმად, უახლოეს 3 თვის მანძილზე რუსეთი განახორციელებს ფულად რეფორმას. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები — 1961-1992 წლებში გამოშვებული ფულის თანდათანობით შეცვლა ახალი ფულადი ერთეულით, მაგრამ ეს თანდათანობითი პროცესი შეიძლება დასრულდეს გადამჭრელი ღონისძიებით — უახლოეს ხანში ფულის ძველი ნიშნების სრული გაუქმებით, ანუ, ნამდვილი ფულადი რეფორმით. ეს პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს საქართველოში კუპონების შემოღებასთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებაზე, რადგან ისინი, ვინც უარს აცხადებენ კუპონებით ვაჭრობაზე და ჯიუტად ებღაუჭებიან რუსულ მანეთებს, რუსეთში მკაცრი ფულადი რეფორმის განხორციელების შემდეგ გაკოტრდებიან.

შემნახველმა ბანკმა დაიწყო სავალუტო ოპერაციები

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულმა შემნახველმა ბანკმა დაიწყო ოპერაციების წარმოება თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით.

ბანკი ნებისმიერი პირისაგან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაზე ღებულობს შემდეგი სახეობის ანაბრებს: მოთხოვნამდე — ამ შემთხვევაში მეანაბრეებს წლიურად დაერიცხებათ 3 პროცენტი იმ ვალუტისა, რომელზეც გახსნილია ანგარიში: უსახელო ანუ წარმომდგენზე — დანარიცხები აქაც ისეთივეა, როგორიც მოთხოვნამდე. თუ ანაბრები ვადიანია, მათ ანგარიშზე დაერიცხება: ერთი წლით 5 პროცენტი, სამი წლით — 7 პროცენტი, ხუთი წლით — 9 პროცენტი. ხუთწლიან ანაბარზე შეტანილი ვალუტა რვა წელიწადში გაორმაგდება, მომდევნო ხუთ წელიწადში გასამმაგდება, კიდევ სამი წლის შემდეგ კი ყოველი დოლარი თითქმის 4 დოლარად გადაიქცევა. და ასე შემდეგ, მუდმივად მზარდი ინტენსივობით.

— ასეთი საპროცენტო განაკვეთები, — გვითხრა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ **ვლადიმერ პატიაშვილმა,** — უფრო მაღალია, ვიდრე საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაშია მიღებული და მათი ყოველთვის გარანტირებული გაცემა ხელეწიფებათ მხოლოდ დიდ საბანკო სისტემებს (განსხვავებით კერძო კომერციული ბანკებისაგან, სადაც ამისათვის შეიძლება ყოველთვის არ იყოს რეალური გარანტიის საშუალება თუ საფუძველი). ჩვენს ქვეყანაში კი სწორედ შემნახველი ბანკია ყველაზე მსხვილი საბანკო სისტემა. ამასთან ბანკი იძლევა სავალუტო სახსრების დაცულობის, ანაბრების საიდუმლოებისა და პირველი მოთხოვნისთანავე გაცემის გარანტიას.

დღევანდელი მწვავე ეკონომიკური კრიზისისა და ინფლაციური პროცესების პირობებში სავალუტო ანაბრებში სახსრების განთავსება ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

შემნახველი ბანკი აწარმოებს აგრეთვე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის შესყიდვას კლიენტებისათვის ხელსაყრელი საბაზრო კურსით და ვალუტის კონვერსიას მინიმალური საკომისიო გასამრჯელოს საფასურად. ამასთან უცხოეთში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც შემნახველი ბანკის დაწესებულებებს მიჰყიდიან უცხოურ ვალუტას, რჩებათ უკუკონვერტაციის უფლება.

სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკთან კლიენტების მიერ წარმოებულ ოპერაციებს კანონიერების გარანტია აქვს. ასევე, ამ შემთხვევაშიც, კანონითაა დაცული მათი საიდუმლოება.

ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ გავაფრთხილო ჩვენი მოსახლეობა — ერიდონ შემთხვევით პირებსა და შუამავლებს.

სავალუტო ოპერაციების წარმოება დაიწყეს შემნახველი ბანკის განყოფილებებმა და სამმართველოებმა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ფოთში, გორში, კასპში, ქობულეთსა და ახალციხეში. უახლოეს პერიოდში მათ რიცხვს შეემატება სხვა განყოფილებებიც.

ეს ბანკები აღჭურვილია ვალუტის შესამოწმებელი სათანადო ტექნიკით, რომელიც ვალუტაზე უცხოეთშია შეძენილი. ბანკის თანამშრომლებმა კი გაიარეს სპეციალური მოსამზადებელი კურსები სავალუტო ოპერაციების წარმოებისათვის.

მოზიდული რესურსები, როგორც საკრედიტო სახსრები, გამოყენებული იქნება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის გაძლიერებისათვის.

შემნახველ ბანკში გაიმართა ბანკის ხსენებული განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაკთა თათბირი, რომელზეც განიხილეს ამ სიახლესთან დაკავშირებული ორგანიზაციული და პრაქტიკული საკითხები.

სანთელი

სიცოცხლეშივე ამაღლებული

ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, საქართველოს პედიატრთა ასოციაციამ, თბილისის პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოებამ გამართეს საღამო, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ირაკლი ფაღავას დაბადებიდან 75 წლისთავს.

ირაკლი ფაღავა არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ რომ დააფასებენ და ამაღლებენ, სიკვდილის შემდეგ რომ მიაგებენ იმ სიყვარულს, სიცოცხლეში რომ დააკლეს.

არა, იგი ამაღლებული იყო სიცოცხლეშივე, სიყვარული და პატივისცემა არ აკლდა ნიჭიერს, ლაღს, ღვთისნიერს, დიახ, ღვთისნიერს, ნამდვილ მორწმუნეს და ქართული ტრადიციების ერთგულ აღმსრულებელს.

ირაკლი ფაღავა გამორჩეული ნიჭიერებით დაჯილდოებული მეცნიერი და მკვლევარი იყო. მას შეეძლო ადრეული განჭვრეტა ამა თუ იმ მეცნიერული კვლევის პერსპექტივისა, შეეძლო ზუსტად განესაზღვრა საკითხის აქტუალობა, მაშინ, როცა, ის კლინიკურ ჰორიზონტზე არც კი ჩანდა. ამის დამადასტურებელია მის მიერ წამოჭრილი და განხორციელებული კვლევა ფსიქო-სომატური ურთიერთობის შესახებ ბავშვთა ასაკში, ინფექციურ-ალერგიული დაავადების დროს, სახელოვანი მეცნიერის დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის" გამოყენებისას. ეს იყო ახალი სიტყვა საერთაშორისო მასშტაბით. ირაკლი ფაღავას მიერ ამ გზით მიღებულმა შედეგებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს აზრი აიტაცა მეცნიერთა ჯგუფმა და არაერთი შრომა შეიქმნა ბატონი ირაკლის მიერ წამოჭრილი იდეის შემდგომი გამოყენებისა და განვრცობისათვის.

ასევე პირველი სიტყვა ეკუთვნის ბატონ ირაკლის გენეტიკური მარკერების შესწავლაში, დედასა და ბავშვს შორის სისხლის ჯგუფური შეუთავსებლობის როლის გამოვლენაში სხვადასხვა დაავადებების ფორმირებისას. ეს მოსაზრება შემდგომ მრავალი გამოკვლევის საფუძვლად იქცა და ამ საფუძველზე მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ნაშრომები აღმოცენდა (საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების სახით). პროფესორმა ირაკლი ფაღავამ პირველმა შენიშნა, რომ ექსუდაციური დიათეზი ბავშვებში შეიძლება ალერგიული და კოლაგენოზური დაავადებების პრემორბიდად ჩაითვალოს. მან, ნიჭიერმა მკვლევარმა და კლინიცისტმა, პირველმა დაადგინა თავ-ზურგტვინის სითხის ლიზისური უნარის დაქვეითება ტუბერკულოზური მენინგიტის დროს და გამოთქვა მოსაზრება მისი დიაგნოსტიკური ღირებულების შესახებ.

მისი, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის დამსახურებაა „ბავშვთა დაავადებები"-ის ორტომეულის შექმნა, რომელზეც იზრდება პედიატრთა მომავალი თაობა.

წლების განმავლობაში ირაკლი ფაღავა ხელმძღვანელობდა პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სიცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობდა საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოებას. მან ეკუთვნის ორასზე მეტი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი, მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 33 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია.

ძნელია ერთ პატარა წერილში სრულად აისახოს ირაკლი ფაღავას ღვაწლი ქართული პედიატრიის განვითარებაში. იგი იყო უზადო ლექტორი, საოცრად ერუდირებული, ერთი სიამოვნება იყო მისი ლექციების მოსმენა. მისი სილაღე და სისადავე, უშუალობა და თავმდაბლობა ხიბლავდა სტუდენტებს, რომლებსაც გამორჩეულად უყვარდათ. თვითონაც ძალიან უყვარდა ახალგაზრდები და ზოგჯერ იმდენად დიდ ლმობიერებას იჩენდა, რომ თუ არა კათედრის „მაგრად დგომა", ბევრ დათმობაზე წავიდოდა.

იგი იყო პროფესორ მარიამ უგრელიძის ერთგული მოწაფე და მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს შეგირდი. მან იმდენი გააკეთა თავისი საყვარელი მასწავლებლისათვის, რომ სიცოცხლეშივე თავისაც დაუდგა ძეგლი მასწავლებელ-მოწაფის ურთიერთობისა და ახლა ჩვენც ვგრძნობთ, რომ ვალში ვართ მასწავლებელთან, ვგრძნობთ, რა სათუთია და მოსაფერებელი ეს დამოკიდებულება.

ხუთი წელია, ჩვენთან აღარ არის საყვარელი ბატონი ირაკლი. პედიატრებმა დაკარგეს წინამძღოლი და მეგობარი, ხალხმა — ერისკაცი, ქომაგი, მეცნიერებამ — განუმეორებელი ნიჭის, საოცრად ერუდირებული, მუდმივი ძიებისა და სიახლისაკენ მლტოლველი კაცი.

უზადო თამადა იყო. სუფრა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, მართლაც ლხინად და ზეიმად იქცეოდა ხოლმე. უბადლო მჭერმეტყველებით, მშვენიერი სიმღერით (შესანიშნავად ასრულებდა ქართულ და რუსულ რომანსებს) ხიბლავდა ყველას და ძნელად თუ ვინმე შეელეოდა ასეთ ლხინს დამთავრებამდე.

ახლა მას 75 წელი შეუსრულდებოდა. რა გულსატკენია, რომ ასე ჭარმაგი წავიდა ჩვენგან. ის ხომ აქტიურ შემოქმედებითი ცხოვრების მწვერვალზე იდგა და მისი დაღმართი ჯერ არ უნდა დაწყებულიყო...

რამაზ ხეცურიანი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი;

ნოდარ ხერხეულიძე,
თბილისის პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი;

ლელი ქერძაძე.
სამკურნალო ფაკულტეტის ბავშვთა სნეულებათა კათედრის გამგე, პროფესორი.

ცხონება

გივი მათითაშვილი

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებს ბოროტმოქმედის ხელით კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება გამოაკლდა — ჩოხატაურის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, პოლიციის მაიორი გივი ილიას ძე მათითაშვილი, რომელმაც ვერც წოდებისა და ვერც თანამდებობის სიცოცხლეში მიღება ვერ მოასწრო.

იგი დაიბადა 1946 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და 1977 წელს სამუშაოდ მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. აქ, 16 წლის მუშაობის მანძილზე, მას იცნობდნენ, როგორც უშიშარ, საქმის მცოდნე და სამართლიან პიროვნებას, სამინისტროსა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ 18-ჯერ იქნა წახალისებული, ამიტომაც დააწინაურეს კიდეც. უფროსის მოადგილის პოსტზე და მორიგ წოდებაზე.

გ. მათითაშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა გული დასწყვიტა ახლობლებს, მეგობრებს, ოჯახმა დაკარგა გულისხმიერი მეუღლე და მზრუნველი მამა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა!

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საკონსულტაციო-საინფორმაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი"

24 საათის განმავლობაში ყველაზე დაბალ ფასებში დაგიმზადებთ ნებისმიერი ტიპის მცირე საწარმოს, ფირმის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა სადამფუძნებლო დოკუმენტაციას, აგრეთვე გაგიწევთ სათანადო კონსულტაციებს.

ფირმის მისამართია: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. 18 (თავისუფლების მოედანთან), მე-4 სართული.
ტელ.: 99-02-76 (11-დან 17 საათამდე).

ვინც თურქეთის რესპუბლიკაში წამსვლელია

ფირმა „მეტეორი", 20 აპრილს 12000 (თორმეტი ათას) მანეთად გთავაზობთ მოგზაურობას ქ. ტრაპიზონამდე.

ჩვენი მისამართია: საბურთალოს ქ. № 46, ტელ.: 36-21-64, 9 საათიდან 17 საათამდე, 37-97-91, 18 საათიდან.

მებაღეობის ამხანაგობების საყურადღებოდ!

საქართველოში მიმდინარე მიწის რეფორმასთან დაკავშირებით, საბაღე ნაკვეთების ინვენტარიზაციის ჩასატარებლად მიმართეთ „საქქალაქაგროსერვისის" ფირმა „საქაგროპროექტს".

მისამართი: თბილისი, რ. თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძის) ქ. № 27. ტელ.: 98-66-21, 98-18-46.

საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტის საკარმიდამო, საბაღე და სააგარაკო ნაკვეთების მომსახურების რესპუბლიკური ცენტრი; „საქქალაქაგროსერვისი".

განცხადება

ცეკავშირის საკურორტო მომსახურებისა და ტურიზმის ფირმა „კავკასიონი" ა/წლის 15 მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე გთავაზობთ საგზურებს კურორტ საირმის, შოვის, ბაკურიანის პანსიონატებსა და წყალტუბოს სანატორიუმში დასასვენებლად.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, თავისუფლების მ. № 7, ოთახი 535. ტელ.: 99-68-28, 99-78-65. ფირმა „კავკასიონი".

ჟურნალი „რელიგია" არ უნდა დაიხუროს!

საბაზრო პოლიტიკამ პრესა სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა. რედაქციების საკუთარი შემოსავლებით არსებობა შეუძლებელი გახდა. ასეთი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ჟურნალ „რელიგიის" რედაქციაც.

„რელიგიის" ყოველი ნომრის გამოსვლას დიდი ინტერესით ელოდება ჩვენი განათლებული მკითხველი. კომუნისტური იდეოლოგიისაგან განთავისუფლების შემდეგ, იგი ერთადერთია, მკითხველებს მსოფლმხედველობრივად არსებითად განსხვავებულ შეხედულებებს რომ სთავაზობს. თუ საეკლესიო გამოცემები ძირითადად მორწმუნეთ ითვალისწინებენ, ჩვენი ჟურნალი ადამიანთა ფართო წრისათვის არის განკუთვნილი და დიდ შემეცნებით ხასიათსაც ატარებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიგვაჩნია ჟურნალის ლიკვიდაცია, რაც საქართველოს პარლამენტის რომელიღაც კომისიას გადაუწყვეტია. ეს იმაში გამოიხატა, რომ ჟურნალს სახელმწიფო დოტაცია შეუწყვიტეს. ეს მაშინ, როცა მას საარსებოდ დღევანდელ პირობებში ძალზე მოკრძალებული თანხა ჰყოფნის.

ჩვენი და ჩვენი მკითხველების თხოვნაა, შესაბამისი ორგანოები კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხს და ღვთისნიერი გადაწყვეტილება მიიღონ.

ჟურნალი „რელიგია" არ უნდა დაიხუროს!

სარედაქციო კოლეგიის წევრები: რისმაგ გორდეზიანი, გურამ თევზაძე, ზურაბ კიკნაძე, ვიქტორ რცხილაძე, ნიკო ჭავჭავაძე.

სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ფრიდონ თოდუას მამის, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის

იპოლიტე მიხეილის ძე თოდუას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 13 აპრილს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 98-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434